

1977 / 2



# საქართველოს სსრ მთავრობის დაწესილებათა პერიოდი

Nº 4

031010—აგვისტო

1977 წ.



# საქართველოს სსრ მთავრობის ეკონომიკათა კანკური

№ 4

08 ლის—აგვისტო

1977 წ.

შ ი ნ ა რ ს ი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფესიონალური რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება

66. დარგობრივ ოცნებულიყურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული ცეკვიშირის განვითარების საწარმოო-ორგანიზაციების კოლეგიუმების დასაქილდობლად დამატებითი გარდამავალი წითელი ღრმულებისა და ფულადი პრემიების დაწესების შესახებ.

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები**

67. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 16 მაისის № 390 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.
68. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 6 მაისის № 357 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.
69. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 12 მაისის № 374 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.
70. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 13 მაისის № 381 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

ქ. მინისტრის ს. ს. ს. სსრ  
სამსახური

71. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 27 მაისის № 437 დადგენილებასთან დაკავშირდებით საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი დადგენილების ძალადაკრულად ჩათვლის შესახებ.
72. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 13 მაისის № 382 დადგენილებასთან დაკავშირდებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების ძალადაკრულად ჩათვლის შესახებ.
73. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 26 სექტემბრის № 856 დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.
74. ბალჩეული კულტურების შესასყიდვი ფასების დამტკიცების შესახებ.
75. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს სისტემაში დაგეგმვის, ეკონომიკური სტიმულირებისა და მართვის შემდგომი სრულყოფის შესახებ.
76. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 22 აპრილის № 230 დადგენილების მე-3 პუნქტის ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.
77. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე გავრცელებული იშვიათ და გადაშენების გზაზე მდგარ სახეობათა გარეული ცხოველებისა და მცენარეების წიგნის „საქართველოს სსრ წილებით წიგნის“ შექმნის შესახებ.
78. ბალრიგნისა და საზამთროს შესასყიდვი და საცალო ფასების დამტკიცების შესახებ.
79. საქართველოს სსრ სოცლის მეურნეობის სამინისტროს აგრარულ-სამრეწველო-სავაჭრო რესუბლიკური გაერთიანების ქუთაისის აგრარულ-სავაჭრო გაერთიანების შექმნის შესახებ.
80. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 12 ავგისტოს № 423 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.
81. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამტკიცების შესახებ.
82. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 9 ივნისის № 496 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.
83. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 9 ივნისის № 497 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.
84. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 16 ივნისის № 538 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.
85. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაზიფიკირის მთავარი სამმართველოს დეტალების დამტკიცების შესახებ.
86. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კოლხეთის დაბლობის დაშრობისა და სასოფლო-სამეურნეო აოვისების პრობლემათა მუდმივმოქმედი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ.
87. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1919 წლის 20 დეკემბრის № 1732 დადგენილების მე-5 და მე-6 პუნქტების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საგვორვალოს და საქართველოს  
პროცეკავშირთა რესპუბლიკური საგვორვალო დადგენილებების

**66** დარგობრივ რესპუბლიკურ სოციალისტურ უფასისმინისტრი გამარჯვებული ცეკავშირის გამგეობის საზოგადო-ორგანიზაციების  
კოლეგიაზების დასაჯილდოვანებულად დამატებითი გარღვევაბული წითელი დროშებისა და ფულადი პრემიერის გვარის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფესიონალური საბჭო ა დ გ ე ნ ე:

ნება დაერთოთ ცეკავშირის გამგეობის და სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფესიონალურ კომიტეტს დამატებით დაწესონ:

— ოთხი გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული კოოპერაციული ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმო-ორგანიზაციებისათვის, ამასთან შედეგები შეაგამონ კვარტალების მიხედვით;

— სამი გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული ავტოსატრანსპორტო, სამშენებლო ორგანიზაციებისა და სამრეწველო საწარმოებისათვის, ამასთან შედეგები შეაგამონ კვარტალების მიხედვით.

საქართველოს სსრ  
მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარის მოადგილე  
შ. გიგაძე.

საქართველოს პროფესიონალური საბჭოს  
რესპუბლიკური საბჭოს  
თავმჯდომარე  
თ. მოსაზღვილი.

ქ. თბილისი, 1977 წ. 25 აგვისტო, № 603.

საქართველოს სსრ მინისტრთა საგვორვალო დადგენილებები

**67** სსრ კავშირის მინისტრთა საგვორვალო 1977 წლის 16 მაისის № 390 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საგვორვალო ზოგიერთი დადგენილების ქალადაკარგულად ჩატვლის შესახებ

„მრეწველობის ზოგად საკითხებზე სსრ კავშირის მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად ჩატვლის „შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 16 მაისის № 390 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე:

1. ძალადაკარგულად ჩატვალოს:



— მე-2, მე-5, მე-6, მე-7 და მე-8 პუნქტები საქართველოს სსრ მინისტრის მიერ განკუთღებული საბჭოს 1959 წლის 13 აპრილის № 265 დადგენილებისა „განსაზღვრული გა-სალების მქონე პროცესების გეგმის ზევით წარმოების დაუშვებლობისა და მა-ტერიალურ ფასეულობათა ზენორმატიული მარავის შემცირების ზომების შესახებ“;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 17 ივნისის № 443 დადგენილება „შრომის ნაყოფიერების დაგეგმვის ნაკლოვანებათა შესახებ“.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კაშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 16 მაისის № 390 დადგენილებით ძალადაკარგულად ჩაითვალა:

— მე-7 პუნქტის მეორე-მეოთხე აზაცები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 13 ივნისის № 718 დადგენილებისა „სამრეწველო პრო-ცესების ხარისხისადმი ტექნიკური კონტროლის ორგანიზაციის გაუმჯობესე-ბის შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს; 1962 წლის 28 აგვისტოს № 615 დადგენილებით;

— მე-4 და მე-5 პუნქტები სსრ კაშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 22 აგვისტოს № 902 დადგენილებისა „სავაჭრო საწარმოებისა და ორგანი-ზაციებისათვის სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდების ხელშეკრულე-ბათა დადგების წესის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“, რომელიც დაგზავ-ნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 25 სექტემბრის № 626 დადგენილებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარე ჭ. პატარიძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა შმართველი ჭ. ახვლედიანი.

ქ. თბილისი, 1977 წ. 11 ივნისი, № 506.

**68** სსრ კავშირის მინისტრთა საგვროს 1977 წლის 6 მაისის № 357 და-დგენილებასთან დაკავშირებით საჭართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების ქალადაკარგულად ჩათვლის ზესახებ

„სათბობის მრეწველობის საკითხებზე სსრ კავშირის მთავრობის ზოგი-ერთი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად ჩათვლისა და შეცვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 6 მაისის № 357 დადგენი-ლების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 9 მაისის № 355 დადგენილება „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში გათხევა კულტურული განვითარების გამოყენების შესახებ“.

2. 1-ლი პუნქტის „ა“ — „კ“ და „ს“ ქვეპუნქტები და მე-3 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 9 მაისის № 351 დადგენილებისა „ქვანახშირის ხარისხის გაუმჯობესებისა და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში მისი უფრო რაციონალურად გამოყენების შესახებ“.

3. 1-ლი პუნქტის „ღ“ ქვეპუნქტი და მე-5 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 13 თებერვლის № 98 დადგენილებისა „საქართველოს სსრ ქვანახშირისა და სამთამაღნო მრეწველობის მუშათა პნევმონიოზებით დაავადების თავიდან აცილების ზომების შესახებ“.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 23 იანვრის № 23 დადგენილება „1961-1965 წლებში საქართველოს სსრ რესპუბლიკაში ნავთობ-ბიტუმის წარმოების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარე ჭ. პატარიძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველი ჭ. ახვლედიანი.

ქ. თბილისი, 1977 წ. 11 ივნისი, № 507.

**69** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 12 მაისის № 374 და-დგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„საშენ მასალათა მრეწველობის საკითხებზე სსრ კავშირის მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 12 მაისის № 374 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩათვალის:

— საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის 21 ოქტომბრის № 1211 დადგენილება „სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სახალხო კომისარიატის სარულონო სახურავის საჭარმოთა მრეწველობისათვის „სოიუზტილის“ საქართველოს კანტორის მიერ ძონების დამზადებას შესახებ“;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 8 თებერვლის № 124 /  
დადგენილება „საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს  
ტროს მიერ 1949 წელს აგურის წარმოების გეგმის შესრულებისა და აგურის  
მრეწველობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 7 სექტემბრის № 1147 დადგენილება „ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კომპერა-  
ციის საწარმოთა მიერ 1949 წელს ადგილობრივი საშენი მასალების წარმოე-  
ბის გეგმის შესრულებისა და 1950 წელს მათი წარმოების გადიდების უზ-  
რუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარე ჭ. პატარიძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველი ჭ. ახვლედიანი.

ქ. თბილისი, 1977 წ. 11 ივლისი, № 508.

**70** სსრ კავშირის მთავრობისა და საგვროს 1977 წლის 13 მაისის № 381  
დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრო-  
ბის ზოგიერთი გადაწყვეტილების ჩალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„თევზის მეურნეობის საკითხებზე სსრ კავშირის მთავრობის ზოგიერთი  
გადაწყვეტილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინის-  
ტრთა საბჭოს 1977 წლის 13 მაისის № 381 დადგენილების შესაბამისად  
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 25 აპრილის № 367  
დადგენილება „საქონელებრესტისა და საქართველოს მეთევზეთა კავშირის ხა-  
ზით თევზის ჭერის 1947 წლის გეგმის შესრულების უზრუნველყოფის ღო-  
ნისძიებათა შესახებ“;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 30 სექტემბრის № 684 დადგენილება „იმ ნედლი თევზისა და ზღვის ნადირის დასამზადებე-  
ლი ფასების შესახებ, რომლებსაც კოლმეურნეობები აბარებენ სახელმწიფოს“,  
გარდა მე-5 პუნქტისა.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977  
წლის 13 მაისის № 381 დადგენილებით ძალადაკარგულად ჩაითვალა სსრ

კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 13 თებერვლის № 438 დადგენილები „იმის შესახებ, რომ გაუდიდეს თევზჭერის კოლექტურნეობათა წევრობს მუშაო დღეების სავალდებულო მინისტრი წელიწალში თევზის მოპოვებაზე და შრომადღები — დამსმარე სასოფლო მეურნეობაში“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის 20 მარტის № 422 დადგენილებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარე ჭ. პატარიძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველი ჭ. ახვლევიანი.

ქ. თბილისი, 1977 წ. 11 ივნისი, № 509.

**71** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 27 მაისის № 437 დადგენილებასთან დაკავშირირებით საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი დადგენილების ქალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 27 მაისის № 437 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. ძალადაკარგულად ჩათვლის:

„სამამულო ომის ინგალიდთა და დიდ სამიზულო ომში დაღუპული სამხედრო მოსამსახურეების ოჯახების წევრთა შეღავათების გაფართოების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 13 აპრილის № 201 დადგენილების მე-7 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის სესხის მიცემის ნაწილში;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 12 ივნისის № 377 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 13 აპრილის შეღავათების მი სხვა ინვალიდებზე გავრცელების შესახებ სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვიდან, რომლებიც ინვალიდები გახდნენ სსრ კავშირის დაცვის დროს“ ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის სესხის მიცემის ნაწილში.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 27 მაისის № 437 დადგენილებით ძალადაკარგულად ჩათვალა 1-ლი პუნქტის მეორე აბზაცი და მე-6 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 20 დეკემბრის № 2465 დადგენილებისა „ინდივიდუალურ საბინაო

შეენიჭლობაში სესხების ოდენობის შემცირებისა და მოსახლეობის საკუთრებული სახსრების ხვედრითი წონის გადიდების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია ქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 25 დეკემბრის № 1642 გაკარგულებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარე ჭ. პატარიძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველი ჭ. ახვლედიანი.

ქ. თბილისი, 1977 წ. 11 ივნისი, № 510.

**72** სსრ კავშირის მინისტრთა საგაონს 1977 წლის 18 მაისის № 382 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საგაონს ზოგიერთი დადგენილების ქაღალდარგულად ჩათვლის შესახებ

„კვების მრეწველობის საკითხებზე სსრ კავშირის მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების ძალადაყარგულად ჩათვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 13 მაისის № 382 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღვენს:

ძალადაყარგულად ჩათვალოს:

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 1 თებერვლის № 92 დადგენილება „საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს პურის საცხობი საწარმოების სიმძლავრეთა გამოყენების გაუმჯობესების შესახებ“, გარდა 1-ლი პუნქტისა.

2. მე-3 პუნქტის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 15 თებერვლის № 173 დადგენილებისა „სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს „გლოვბარფიუმერიის“ ტრესტ „საქეორზეთის“ საწარმოებში ეთერზეთოვანი ნედლეულის მიღებისა და გადამუშავების მხრივ არსებულ ნაკლოვანებათა შესახებ“.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 13 სექტემბრის № 1198 დადგენილება „საქართველოს შაქრის ქარხნის ამუშავების ვადისა და 1949 წლის მოსავლის შაქრის ჭარხლის გადაზიდვის უზრუნველყოფის შესახებ“.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 5 მაისის № 520 დადგენილება „იმ საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების შემთხვევაში დამატებითი მუნიციპალიტეტის მიზანის წარმოების აქტების შესახებ, რომლებიც სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს სისტემაში არ შედიან“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარე ჭ. პატარიძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველი ჭ. ახვლედიანი.

ქ. თბილისი, 1977 წ. 11 ივნისი № 511.

## 73

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 26 სექტემბრის № 856 დადგენილების ქალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“

„ქოოპერაციის დაფინანსებისა და დაქრედიტების საკითხებზე სსრ კავშირის მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 31 მაისის დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

ძალადაკარგულად ჩათვალის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 26 სექტემბრის № 856 დადგენილება „საგაშირო ბანკის 1946 წლის საქრედიტო გეგმის შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარე ჭ. პატარიძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველი ჭ. ახვლედიანი.

ქ. თბილისი, 1977 წ. 11 ივნისი, № 512.

**74** გაღმიული კულტურების შესახიდი ფასების დამტკიცების შესახიდი



საქართველოს  
კულტურის  
მინისტრის  
შესახიდი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს და შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 1977 წლის მოსავლიდან ზოგიერთი ბალჩეული კულტურის შემდეგი შესასყიდი და საცალო ფასები:

(მანეთობით ერთ ტონაში)			
კულტურების დასახელება		შესასყიდი ფასი	საცალო ფასი

**საზამონო**

1 აგვისტომდე	400	450
1 აგვისტოს შემდეგ	300	350
<b>ნებაზო</b>		
1 აგვისტომდე	400	450
1 აგვისტოს შემდეგ	300	350

ძალადაკარგულად ჩითვალოს საზამონოსა და ნესვის შესასყიდი და საცალო ფასები, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 11 მაისის № 348 დადგენილებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარე ჭ. პატარიძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველი ჭ. ახვლედიანი.

ქ. თბილისი, 1977 წ. 12 ივნისი, № 515.

**75** საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს  
სისტემაზი დაგეგმვის, ეკონომიკური სტიმულირებისა და მართვის სრულყოფის საფუძველზე საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის მუშაობის ეფექტიანობის შემდგომი მაღლების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

- გადაყვანილ იქნეს 1977 წლის 1 ივნისიდან საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო მეურნეობის გაძლიერების ახალ პრინციპების მიზნით დაგეგმვის, ეკონომიკური სტიმულირებისა და მართვის სრულყოფის საფუძველზე საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის მუშაობის ეფექტიანობის შემდგომი მაღლების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:
- გადაყვანილ იქნეს 1977 წლის 1 ივნისიდან საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო მეურნეობის გაძლიერების ახალ პრინციპების მიზნით დაგეგმვის, ეკონომიკური სტიმულირებისა და მართვის სრულყოფის საფუძველზე საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის მუშაობის ეფექტიანობის შემდგომი მაღლების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ბზე, რომლებსაც ითვალისწინებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 6 პრილის № 234 დადგენილება „მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმისამართის, საავტომობილო ტრანსპორტის მთავარ სამმართველოში დაგეგმვის, ეკონომიკური სტიმულირებისა და მართვის შემდგომი სრულყოფის შესახებ“.

დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს სამეცნიერო საქმიანობა ხორციელდება საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროში დაგეგმვის, ეკონომიკური სტიმულირებისა და მართვის შემდგომი სრულყოფის მეთოდიკური მითითებების შესაბამისად, რომლებიც მოწონებულია სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალი მეთოდების გამოყენების საკითხთა საუწყებათაშორისო კომისიის 1977 წლის 31 მარტის № 335-ბ საოქმო გადაწყვეტილებით.

## 2. დამტკიცდეს:

— საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს 1976-1980 წლების საწარმოო-სამეცნიერო საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები № 1 დანართის თანახმად;

— საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ხაზით მოგების ფონდების ანარიცხებისა და ხელფასის დანახარჯების ნორმატივები 1976-1980 წლებისათვის № 2 დანართის თანახმად;

— საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საწარმოებისა და ორგანიზაციების მართვის სტრუქტურული სქემა, რომელიც ითვალისწინებს საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის მართვის გადასტულას ორგოლიან სისტემაზე (სამინისტრო — საწარმო გაერთიანება).

3. გაუქმდეს 1977 წლის 1 ივნისიდან ქ. თბილისის ავტოსატრანსპორტო ტრესტი № 1, ქ. ქუთაისის ავტოსატრანსპორტო ტრესტი № 3, ქ. ბათუმის ავტოსატრანსპორტო ტრესტი № 4, ქ. სოხუმის ავტოსატრანსპორტო ტრესტი № 5, ქ. თბილისის ავტოსატრანსპორტო ტრესტი „სოფლტრანსი“, ქ. თბილისის სამმართველო „საქართველოს კულტურული და სამართლებრივი მმართველობის მმართველობის სამმართველო“ და ქ. თბილისის სამრეწველო საწარმოთა სამმართველო.

4. შეიქმნას საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს სისტემაში:

— 4 ავტოსატრანსპორტო საწარმო გაერთიანება მმართველობის სპეციალური აპარატით № 3 დანართის თანახმად;

— 10 ავტოსატრანსპორტო საწარმო გაერთიანება მთავარი საწარმოების მმართველობის აპარატით № 4 დანართის თანახმად;

— სამგზავრო ავტოსადგურების 2 საწარმო გაერთიანება № 5 დანართის თანახმად;

— საქართველოს საქალაქო შორისო ავტოტრანსპორტის რესპუბლიკური საწარმო გაერთიანება მმართველობის სპეციალური აპარატით.

— რესპუბლიკური საწარმო გაერთიანება „საქავტორემონტი“ მთავარი საწარმოს მმართველობის აპარატით.

5. შენარჩუნებულ იქნეს:

— საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროსადმი  
უშუალოდ დაქვემდებარებული საწარმოებისა და ორგანიზაციების მართვისა  
არსებული სისტემა № 6 დანართის თანახმად;

— არსებულ ავტოტრესტებსა და სამართველოებში მოქმედი თანამდე-  
ბობრივი სარგოების სექტემბრი ამ ავტოტრესტებისა და სამართველოების ბაზა-  
ზე შესაქმნელი მმართველობის სპეციალური პარატის მქონე საწარმოო გაე-  
რთიანებების მუშაკთა შრომის ასანაზღაურებლად.

6. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ გულ-  
დასმით გააანალიზოს გაერთიანებებში შესული ავტოსატრანსპორტო საწარ-  
მოების საქმიანობის პრაქტიკა, აგრეთვე მთავარი ავტოსატრანსპორტო  
საწარმოების მუშაობის პრაქტიკა და საჭიროების კვალიბაზე შეიძულავს და  
წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქართველოს სსრ სა-  
ხელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებული წინადადებანი ავტოსატრან-  
სპორტო საწარმოო გაერთიანებათა სტრუქტურის გაუმჯობესებისა და დის-  
ლოგაციის შესახებ.

7. ღვევემდებარონ საწარმოო გაერთიანებებს დამოუკიდებელი საწარ-  
მოები, რომლებიც სარგებლობენ სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს დე-  
ბულებით გათვალისწინებული უფლებებით № 7 დანართის თანახმად.

8. დამტკიცდეს:

— თანდართული ღებულება საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანს-  
პორტის სამინისტროს ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების შესახებ,  
რომელიც შემუშავებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 27  
რობის № 212 დადგნილებით დამტკიცდებული საწარმოო გაერთიანების (კო-  
მინისტრის) დებულების საფუძველზე, რესპუბლიკის საერთო სარგებლობის  
საავტომობილო ტრანსპორტის მუშაობის სპეციფიკის გათვალისწინებით.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ავტო-  
სატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებებში გამოყენებული არ უნდა  
იქნეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 27 მარტის № 212 დადგე-  
ნილების მე-3 და მე-4 პუნქტები;

— საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ცენ-  
ტრალური პარატის სტრუქტურა № 8 დანართის თანახმად.

დაწესდეს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს  
ცენტრალური პარატის საშტატო რიცხოვნობა 153 ერთეულით და ხელფა-  
სის ფონდი უვეში 20.792 მანეთის ოდენბით.

9. უფლება მიეცეს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სა-  
მინისტრის:

— შექმნას, გარდაქმნას და გააუქმოს საწარმოები და ორგანიზაციები,  
№ 9 დანართის თანახმად, მთლიანად სამინისტროს ხაზით დამტკიცებული ნორ-  
მატივის მიხედვით გამოინგრიშებული ხელფასის ფონდის ფარგლებში;

— გავრცელოს მთლიანად ან ნაწილობრივ საქვემდებო საწარმოებსა და  
ორგანიზაციებზე მათ მუშაობის სპეციფიკის გათვალისწინებით მოგების და-

გეგმვისა და განაწილების ის წესი, რაც განსაზღვრულია საქართველოს სამინისტროს სააგრძომობილო ტრანსპორტის სამინისტროში დაგეგმვის, კერძომიური უსტო მულირებისა და მართვის შემდგომი სრულყოფის მეთოდიკური მითითებებით.

#### 10. დამტკიცდეს:

— თანადართული დებულება საქართველოს სსრ სააგრძომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საწარმოების, ორგანიზაციებისა და ცენტრალური აპარატის ხელმძღვანელ, ინუინერ-ტექნიკურ მუშავთა და მოსამსახურეთა პრემირების შესახებ, რომელიც შეთანხმებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის, და შემოლებულ იქნეს იგი სამოქმედოდ 1977 წლის 1 ივნისიდან;

— იმ სამინისტროების, უწყებების (ძირითადი კლიენტურის) ნუსხა, რომელთა მიერ საერთო სარგებლობის სააგრძომობილო ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვის გეგმის შესრულება სავალდებულო საქართველოს სსრ სააგრძომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ცენტრალური აპარატის ხელმძღვანელ მუშავთა პრემირებისათვის № 10 დანართის თანახმად.

სადირექტოებო ორგანოების განსაკუთრებით მნიშვნელოვან დავალებათა შესასრულებლად ავტოტრანსპორტის მობილიზაციის შემთხვევებში, რჩმაც ვამოიწვია სამინისტროს სავალდებულო საკლიენტურო გეგმის შეუსრულებლობა, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა შეიტანოს შესაბამისი ცვლილებანი ამ გეგმაში:

— საქართველოს სსრ სააგრძომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ცენტრალური აპარატის ხელმძღვანელი მუშავების (მინისტრისა და მისი მოადგილეების) პრემირების ოდენობა და იამატებითი პირობები № 11 დანართის თანახმად.

11. საქართველოს სსრ სააგრძომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ შეიმუშაოს ამ სამინისტროს დებულებისა და საქართველოს სსრ სააგრძომობილო ტრანსპორტის წესდების პროექტები ამ დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებათა გათვალისწინებით, შეუთანხმოს ისინი საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსა და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებს და წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

#### 12. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 4 სექტემბრის № 494 დადგენილება „საქართველოს სსრ სააგრძომობილო ტრანსპორტის სამინისტროს სტრუქტურისა და საშტატო ცხრილის ნაწილობრივ შეცვლის შესახებ“;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 23 აგვისტოს № 549 დადგენილება „ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს, საქართველოს სსრ სააგრძომობილო ტრანსპორტის სამინისტროს პირველი სამეშვირო ავტოსატრანსპორტო კანტორისა და ტაქსის გამოყენების ავტოსატრანსპორტო კანტორის თბილისის შემომელთა დებულტარების საქალაქო საბჭოს აღმასკომთან არსებულ საქალაქო ტრანსპორტის სამმართველოდ გაერთიანების შესახებ“;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 6 აგვისტოს № 552



დადგენილება „ქ. თბილისის სამგზავრო ტრანსპორტის სამმართველოს შესახებ“;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 24 აგვისტოს № 536 დადგენილება „საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ტრესტ „სოფლმეურნტრანსის“ სპეციალიზებული საავტომობილო მეურნეობების მიერ კოლმეურნეობებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სა-სოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის ტვირთის გადაზიდვის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 19 მაისის № 659 განკარგულება;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 10 თებერვლის № 71 დადგენილება „საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს სახაზო კონტროლისა და მოძრაობის უსაფრთხოების სამმართველოს და საკონტროლო-სარევიზიო განყოფილების დებულებათა დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარე ჭ. პატარიძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველის მოაღვილე პ. ხუნდარიძა.

დაგთიცივებულია  
საქართველოს სსრ მინისტრის მიერთების  
1977 წლის 15 ივნისის № 522  
დადგენილებით

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საწარმო-  
ორგანიზაციების მართვის სტრუქტურული სქემა

თბილისის სამგზავრო ავტოტრანსპორტის სა-  
თავმოო გაერთიანება

თბილისის სატრანსპორტო გაერთიანება  
თბილისის ავტოსატრანსპორტო საწარმოო გა-  
ერთიანება „ვაკერობტრამსი“

ათხაზეთის ავტოსატრანსპორტო საწარმოო  
გაერთიანება

აქარის ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერ-  
თიანება

სამხრეთი ისეთის ავტოსატრანსპორტო სა-  
წარმოო გაერთიანება

ქუთაისის ავტოსატრანსპორტო საწარმოო გა-  
ერთიანება

რუსთავის ავტოსატრანსპორტო საწარმოო გა-  
ერთიანება

ზუგდიდის ავტოსატრანსპორტო საწარმოო  
გაერთიანება

მარნეულის ავტოსატრანსპორტო საწარმოო გა-  
ერთიანება

წინორის ავტოსატრანსპორტო საწარმოო გა-  
ერთიანება

გორის ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერ-  
თიანება

ხაშურის ავტოსატრანსპორტო საწარმოო გა-  
ერთიანება

შესტავონის ავტოსატრანსპორტო საწარმოო  
გაერთიანება

კახეთის ავტოსატრანსპორტო საწარმოო გა-  
ერთიანება

ახალციხის ავტოსატრანსპორტო საწარმოო  
გაერთიანება

სამტრედიის ავტოსატრანსპორტო საწარ-

თელავის ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერ-  
თიანება

ჭიათურის ავტოსატრანსპორტო საწარმოო გა-  
ერთიანება  
შექეთის ავტოსატრანსპორტო საწარმოო გა-  
ერთიანება

აბაშირლაურის ავტოსატრანსპორტო საწარმოო  
გაერთიანება

თბილისის სამგზავრო ავტოსადგურების საწარ-  
მოო გაერთიანება

ქუთაისის სამგზავრო ავტოსადგურების საწარ-  
მოო გაერთიანება

რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „საქ-  
ეორომენტი“

საქართველოს საქალაქთაშორისო ავტოტრანს-  
პორტის რესპუბლიკური საწარმოო გაერთია-  
ნება  
საწარმოო-ტექნიკური გაერთიანება „ავტო-  
ტრანსტრექინიერი“

მთავრის სამმართველო „საქმთავარიავტოტრანს-  
პორტიანგება“

სასწავლო კომიტინატი სასწავლო კომიტინატი

სარემნტო-სამშენებლო სამმართველო

სახაზო კონტროლისა და მოძრაობის უსაფრ-  
თხოების სამმართველო

სამინისტროს სასამსახურო შენობის ექს-  
პლუატაციის სამმართველო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
1977 წლის 15 ივლისის № 522 დადგენილების დანართი № 1

## ძირითადი განკვეთები

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს 1976-1980  
წლების საწარმოო სამეურნეო საქმიანობის გეგმისა

	ზომის ერთეული	წლების ერთეული					1980 წ.
		1976	1977	1978	1979	1980	
შემოსაცვლის საერთო მო- ცულობა	ათასი მანეთი	257799	272574	288217	304145	522025	
მოგების საერთო თანხა	*	59995	64374	66272	71069		
სახელმწიფო ბიუჯეტში გა- დასახლელთა საერთო თანხა	*	46813	52504	51617	53537	66972	
სარეალიზაციო პროცეს- ციის მოცულობა	*	9784	10237	10693	11320	12407	
ტეირთბრუნვა	მილიონი ტრნა-კილომეტრი	1770	1925	2054	2200	2365	
მგზავრბრუნვა	მილიონი მეტავრ-კილომე- ტრი	4920	5095	5300	5540	5800	
შრომის ნაყოფერების ზრდა (პროცენტობით 1975 წელთან შედარებით):							
ა) საეტომობილო ტრანს- პორტში	პროცენტი	101,2	107,2	111,8	116,8	121,9	
ბ) მრეწველობაში	პროცენტი	102,0	104,7	108,5	112,2	116,7	
კაპიტალურ დაბანდებათა შოცულობა — სულ	ათასი მანეთი	24720	23785	23785	26630	28440	
მათ შორის საშენებლო- სამოწმეო სამუშაოთა მო- ცულობა	*	4920	4093	4900	5050	5960	
ძირითადი ფონდების ამო- ქმედება	*	25400	25830	28130	26630	36860	
მოძრავი შემაღებელობის მიწოდება:							
ა) სატეირთო ავტომობი- ლები	ავტოტონა	7310	8000	8000	8300	8700	
ბ) ავტომშები	ავტოლგილი	16300	16700	17000	17500	17500	
გ) მსუბუქი ტაქსი	ცალი	1100	1100	1100	1100	1100	

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველის მოადგილე პ. ხუნდარიძე.

საქართველოს სსრ მინისტრობის  
1977 წლის 15 ივნისის № 522  
დადგენილების დახმართი № 2

## ნ ო ო მ ဈ ည 0 3 0 8 0

**საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ხაზით 1978-  
1980 წლებისათვის მოგების ანარიცხებისა და ხელფასის დანახარჯებისა**

ზომის ერთეული	1976 წ.	1977 წ.	1978 წ.	1979 წ.	1980 წ.
	პროცენტი	78,028	82,404	77,897	75,331
1. სახელმწიფო ბიუჯეტის მოგების შე- ნატანების ნორმატივი	პროცენტი	78,028	82,404	77,897	75,331
2. იმ მოგების ანარიცხების ნორმატივი, რომელიც სამინისტროს განკარგულე- ბაში გრძება გაფართოებული კვლევ- წირმოების, სამეცნიერო-კლევითი სა- მუშაოების, საწარმოთა და ორგანი- ზაციათი კონსილიური სტიმულირ- ების განსახორციელებლიდ და სხვა და- ვალიდი ხარჯების დასაფინანსებლიდ — სულ	პროცენტი	21,972	17,596	22,113	24,669
აქციან:					
— მატერიალური წიგნისების ფონდში მოგების ანარიცხების ნორმატივი	პროცენტი	7,761	4,019	8,857	8,874
— სოციალურ-კულტურული ღინისძიე- ბებისა და საბინაო მშენებლობის ფო- ნდში მოგების ანარიცხების ნორმა- ტივი	პროცენტი	3,177	2,857	3,493	3,506
— წარმოების განვითარების ფონდში მოგების ანარიცხების ნორმატივი	პროცენტი	0,992	0,922	0,896	0,975
3. საქმიანობის კველა სახეობის მიხედ- ვით 1 მანეთის შემოსავალზე ხელფა- სის ნორმატივი	კ.პ.გ	35,179	35,224	34,525	33,898
					33,156

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველის მოადგილე პ. ხუნარის.

১

সার্বজনিক স্বতন্ত্রতা প্রকল্পের  
১977 খ্রিস্টাব্দের 15 জুলাই সন  
প্রকল্পের উদ্বোধন মুখ্যমন্ত্ৰী  
ডাঃ মুকুট বৰুৱা

## ন উ স ন অ

সার্বজনিক স্বতন্ত্রতা প্রকল্পের উদ্বোধন মুখ্যমন্ত্ৰী ডাঃ মুকুট বৰুৱা  
স্বতন্ত্রতা প্রকল্পের উদ্বোধন মুখ্যমন্ত্ৰী ডাঃ মুকুট বৰুৱা

ঔষধের নাম	পরিমাণ
ক্ষেত্ৰ এবং পথ	১ ক্ষেত্ৰ এবং পথ
ক্ষেত্ৰ এবং পথ	১ ক্ষেত্ৰ এবং পথ
ক্ষেত্ৰ এবং পথ	১ ক্ষেত্ৰ এবং পথ
ক্ষেত্ৰ এবং পথ	১ ক্ষেত্ৰ এবং পথ

সার্বজনিক স্বতন্ত্রতা প্রকল্পের উদ্বোধন মুখ্যমন্ত্ৰী ডাঃ মুকুট বৰুৱা  
স্বতন্ত্রতা প্রকল্পের উদ্বোধন মুখ্যমন্ত্ৰী ডাঃ মুকুট বৰুৱা


 საქართველოს სსრ მინისტრთა დაბჭინებული  
 1977 წლის 15 ივნისის № 522/1000  
 დაღგენილების დანართი № 4

### ნ უ ს ხ ა

საქართველოს სსრ საკუთრო მობილო ტრანსპორტის სამინისტროს აცტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებებისა მთავარი საწარმოს მმართველობის აპარატით

დასახელება	იდგილსამყოფელი
თბილისის აეროსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება „ვეტროპტრანსი“	ქ. თბილისი
სამხრეთ ოცნების აეროსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება	ქ. ცხინვალი
რუსთავის აეროსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება	ქ. რუსთავი
ზუგდიდის აეროსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება	ქ. ზუგდიდი
წონის აეროსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება	ქ. წონი
ცხაქაის აეროსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება	ქ. ცხაქაი
თელავის აეროსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება	ქ. თელავი
ამბროლაურის აეროსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება	ქ. ამბროლაური
ზესტაფონის აეროსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება	ქ. ზესტაფონი
სამტრედიის აეროსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება	ქ. სამტრედია

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველის მოადგილე პ. ხუნდარიბა.

№ 4

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
1977 წლის 15 ივნისის № 522 დღის  
დადგენილების დანართის № 5

## 6 უ ს ხ ბ

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს სამგზავრო  
ავტოსადგურების საწარმოო გაერთიანებებისა

დასახელება	აღგილსამყოფელი
თბილისის სამგზავრო აეროსადგურების საწარმოო გაერთიანება	ქ. თბილისი
ქუთაისის სამგზავრო აეროსადგურების საწარმოო გაერთიანება	ქ. ქუთაისი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მშართველოს მოადგელე პ. ხუცებრიბა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
1977 წლის 15 ივნისის № 522-მდება  
დადგენილების დანართი № 6

## ნ უ ს ხ ა

საწარმოებისა და /ორგანიზაციებისა, რომლებიც კვლავ უშუალოდ დაექვემდებარებიან საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს

დასახელება	ადგილსამყოფელი
თბილისის სატრანსპორტო გაერთიანება	ქ. თბილისი
მარნეულის აეროსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება	ქ. მარნეული
გორის აეროსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება	ქ. გორი
ხაშურის აეროსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება	ქ. ხაშური
ახალციხის აეროსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება	ქ. ახალციხე
ჭიათურის აეროსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება	ქ. ჭიათურა
მცხეთის აეროსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება	ქ. მცხეთა
საწარმოო ტექნიკური გაერთიანება „ავტოტრანსპორტი“	ქ. თბილისი
მთავარი სამმართველო „საქმითა ვარაუტოტრანსპორტობინარაგება“	ქ. თბილისი
სასწავლით კომპინატი	ქ. თბილისი
სარემონტო-სამშენებლო სამმართველო	ქ. თბილისი
სახაზო კონცერნლისა და მოძრაობის უსაფრთხოების სამმართველო	ქ. თბილისი
სამინისტროს სასამსახურო შენობის ექსპლუატაციის სამმართველო	ქ. თბილისი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველის მოადგილე ა. ხუნდარია.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
1977 წლის 15 ივნისის № 522  
დადგენილების დანართი № 7

### ნ უ ს ხ ა

დამოუკიდებელი ავტოსატრანსპორტო და ავტოსარემონტო საწარმოებისა,  
რომლებიც საწარმოო გაერთიანებებს დაექვემდებარებიან

შესტის ავტოსატრანსპორტო საწარმო  
გაგრის ავტოსატრანსპორტო საწარმო  
ფოთის სატეირო ავტოსატრანსპორტო საწარმო  
ფოთის სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმო  
ლანჩხუთის ავტოსატრანსპორტო საწარმო  
მახარაძის სატეირო ავტოსატრანსპორტო საწარმო  
მახარაძის სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმო  
ჩოხატაურის ავტოსატრანსპორტო საწარმო  
ტყიბულის სატეირო ავტოსატრანსპორტო საწარმო  
ტყიბულის სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმო  
გუდაუთის ავტოსარემონტო ქარხანა  
ლენტეხის ავტოსატრანსპორტო საწარმო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველის მოადგილე პ. ხუნდარია.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
1977 წლის 15 ივლისის № 52 დოკუმენტის  
დადგენილების დანართი № 8

### ს ტ რ უ ქ ტ უ რ ა

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს  
ცენტრალური აპარატისა

ტვირთის გადაზიდვის სამმართველო

მგზავრთა გადაყვანის სამმართველო

ტექნიკური სამმართველო

საწარმოო სამმართველო

საგეგმო-საფინანსო სამმართველო

შრომისა და ხელფასის სამმართველო

კადრების სამმართველო

კაპიტალური მშენებლობის სამმართველო

საკონტროლო-სარევიზიო სამმართველო

ცენტრალური ბუღალტერია

სამეურნეო და საკანცელარიო მომსახურების სამმართველო

მეორე განყოფილება

იურიდიული განყოფილება

მინისტრთან არსებული ინსპექცია

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქმეთა მმართველის მოადგილე პ. ბუჯარია.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო  
1977 წლის 15 ივნისის № 522/106/ს  
დადგენილების დანართი № შეკრისება

## ნ უ ს ხ ა

საწარმოებისა და ორგანიზაციებისა, რომლებსაც შექმნის, გარდაქმნის და გააუქმებს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის ზამინისტრო დამტკიცებული ნორმატივის მიხედვით გამოაწვარიშებული ხელფასის ფონდის ფარგლებში

ავტოსატრანსპორტო საწარმოო ერთეულები, სატრანსპორტო-საექსპერიციო საწარმოები და ორგანიზაციები

ავტოსარემონტო და სალტესარემონტო საწარმოო ერთეულები  
ავტოვაგზლები, საშეზღვრო და სატვირთო ავტოსადგურები, სასტუმრო-ები

ტრანსსაგენტოები

სასწავლო კომინისტები, ავტოსკოლები

მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სამეურნეოანგარიშიანი განყოფილებები

პანიონატები, პიონერთა ბანკები, საბავშვო ბალები

ექსპერიმენტულ-მექანიკური ქარხნები, სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციები, საგარაფო ტექნიკის გაშეება-გამართვისა და მომსახურების სპეციალიზებული ორგანიზაციები

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველის მოადგილე პ. ხუნდარიძა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
1977 წლის 15 ივლისის № 522/365-ში  
დადგენილების დანართი № 10



૬ ૭ ૮ ૯

ອະ ສາມືນີ້ສັກຕົວເບີໂສ ແລະ ຫຼິ້ງຍູ່ເບີໂສ (ດົກລົງຕະຫຼາດ ອຸປະກອດ), ຮົມເມືລັດ  
ມອງກ ສາງຮັດຕະ ສາລະງວດລັບດີ ສາວັດຖຸມົນດີລັດ ຕ່າງໆສັກຕົວຕີຕືກ ຕັດໃຈ່  
ແລະ ຊົດວິໄສ ຂະໜາມີສ ພະຍາຍຸງລົງເບີ ສາວັດທະຍຸດເບີລົງນາ ສາກົາຫົວໝາຍ  
ລົງນາ ຕ່າງໆສັກຕົວຕີຕືກ ສາມືນີ້ສັກຕົວ ເງິນຕ່າງໆລົງເບີ ອັດກຳຕົວ  
ມູ້ມັງກັງຕາ ດັກເມືອງເບີໂສຂາຕະວິໄສ

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო

საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტრო

საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო

სსრ კავშირის გზათა სამინისტროს ამიერკავკასიის რეინიგზა

საქართველოს სსრ საკუთრიმობილო გზების სამინისტრო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველის მოადგილი ა. ბუნეარიძე

საქართველოს სსრ მინისტრთა საკულტო  
1977 წლის 15 ივნისის ქადაგებით  
დადგენილების დანართი ქადაგებით

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ცენტრალური  
აპარატის ხელმძღვანელ მუშავთა პრემირების ოდენობა და დამატებითი  
პირობები

### I. პრემიების ოდენობა

პრემიების ოდენობა (თანამდებობრივი სარგოების პროცენტულად)				
ხუთწლიანი გეგმით გათვა- ლისწინებული მოგების გე- გმის შესრულებისათვის	ხუთწლიანი გეგმით გათვა- ლისწინებულთან შედარე- ბით მოგების გადიდებული დავალების წელიწადზე მი- ღებული გადიდებული და- ვალების 1 პროცენტისა- თვის*)	მოგების დაზუსტებული გეგმის გადაჭიაბებით შესრულების ყოველი პროცენტისათვის	2 შეავტორება პროცენტ პროცენტისათვის	2 შეავტორება პროცენტ პროცენტისათვის
მინისტრი და მინისტრის მოადგილეები	25	3	1	0,7

\* ) მოგების გადიდებული გეგმის შეუსრულებლობისას პრემია დაირიცხება ხუთწლიანი გე-  
გმით განსაზღვრული პრემირების იმ ოდენობასთან შედარებით მოგების ფაქტიური ზრდი-  
სათვის, რომელიც შემცირებულია 40 პროცენტით.

**II. პრემირების დამატებითი პირობები**

პრემირების დამატებითი მაჩვენებლები	პრემიების გადიდების ოდენობა დავალებათა გადაწარტებით შესრულების სრულებლობის (შესრულების დროს) დროს პრემირების დამატებითი მაჩვენებლების მიხედვით მიხედვით (თანმიდებობრივი სარგოს პროცენტულად)	პრემიის შემცირების ოდენობა დავალებათა გადაწარტებით შესრულების სრულებლობის (შესრულების გაუარესების დროს) პრემირების დამატებითი მაჩვენებლების მიხედვით (თანმიდებობრივი სარგოს პროცენტულად)	
შინისტრი და მინის- ტრის მო- აღვილები	1 მანეთის შემოსავალზე ხარჯების შემცირება (გადიდება) გეგმისთან შედარებით მთლიანად სამინისტროს ხაზით  ერთი მომუშავის შრომის ნეუოფიცირების ზრდა (შემცირება) გეგმისთან შედარებით მთლიანად სამინისტროს ხაზით	0,1 პროცენტით შემცირებისათვის — 2  1 პროცენტით ზრდისათვის — 4	0,1 პროცენტით გადიდებისათვის — 4  1 პროცენტით შემცირებისათვის — 6

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველის მოადგილე ა. ხუნჯარიძა.

დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა მამკონიანი  
1977 წლის 15 ივნისის № 522  
დადგინდებით

### დ ე ბ უ ლ ე ბ ი ა

საქართველოს სსრ სააგრძომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საწარმოების, ორგანიზაციებისა და ცენტრალური აპარატის ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშავთა და მოსამსახურეთა პრემირების შესახებ

ეს დებულება შემოღებულია იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს საქართველოს სსრ სააგრძომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საწარმოების, ორგანიზაციებისა და ცენტრალური აპარატის ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ, სხვა კატეგორიების მუშავთა და მოსამსახურეთა მატერიალური დაინტერესება სააგრძომობილო ტრანსპორტით რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებით, შრომის ნაყოფიერების ზრდით, მოძრავი შემადგენლობის გამოყენების და მთლიანად საწარმოთა, ორგანიზაციათა მუშაობის ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებლების ამაღლებით.

დებულება ვრცელდება სამინისტროს საწარმოებზე, ორგანიზაციებზე, სამმართველოებზე, გაერთიანებებსა და ცენტრალურ აპარატზე.

#### 1. პრემირების მაჩვენებლები, პირობები და ოდენობა

1. სამინისტროს საწარმოების, ორგანიზაციების, სამმართველოების, გაერთიანებებისა და ცენტრალური აპარატის ხელმძღვანელ მუშავებს პრემიები მიეცემათ შესაბამისად საწარმოსათვის, თრგანიზაციისათვის, სამმართველოსათვის, გაერთიანებისა და სამინისტროსათვის დაწესებული მოვების ვეგმის მთლიანად და გადაჭირდებით შესრულების გამო.

2. პრემიები მოვების ვეგმის მთლიანად და გადაჭირდებით შესრულებისათვის ამ დებულების 1-ლ პუნქტში აღნიშნულ მუშავებს მიეცემათ შემდეგი პირობების დაცვით:

— ავტოსატრანსპორტო საწარმოებში, სამმართველოებსა და გაერთიანებებში: ტონობითა და ტონა-კილომეტრობით ტყირთის ვადაზიდვის ვეგმის შესრულება, ავტობუსებისა და მსუბუქი ტაქსების ხაზზე გაშვების, ზემდგომი ორგანიზაციის მიერ დამტკიცებული ნუსხის მიხედვით დადებულ ხელშეკრულებათა შესაბამისად დაგეგმილი კლიენტურისათვის ტვირთის ტონობით გადაზიდვის ვეგმის შესრულება;

— სამრეწველო საწარმოებსა და გაერთიანებებში: სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციის ვეგმისა და მიწოდების მოცულობის (ძირითადი ნომენკლატურის მიხედვით) შესრულება;

— სატრანსპორტო-საგენსპედიციო საწარმოებსა და ორგანიზაციებში: შემოსავლის ვეგმის შესრულება;

— იმ საწარმოებსა და ორგანიზაციებში, რომლებიც მოსახლეობის კულტურული განვითარებით უძრავი და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გეგმის შესრულება;

მომარაგების ორგანიზაციებსა და სამმართველოებში: გამსხვილებული ნომენკლატურის მიხედვით უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის რეალიზაციის გეგმის შესრულება;

— სამინისტროს ცენტრალურ აპარატში: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული ნუსხის მიხედვით დადებულ ხელშეკრულებათა შესაბამისად დაგვგმილი კლიენტურისათვის ტვირთის ტონობით გადაზიდვის, ხაზე ეტობუსებისა და მსუბუქი ტაქსის გაშვების, სამინისტროს სისტემის გარეთ სარეალიზაციო ძირითადი ნომენკლატურის მიხედვით სამრეწველო პროდუქციის მიწოდების გეგმის შესრულება.

დაგეგმილი კლიენტურისათვის ტვირთის გადაზიდვის გეგმის შესრულება ვანისაზღვრება კლიენტის მოთხოვნით გეგმის ცვლილებათა გათვალისწინებით, რაც უნდა დაიდისტუროს მისმა ზემდგომმა ორგანიზაციის დადგენილი წესით.

თუ გეგმა შესრულდება ტონობით დაგეგმილი კლიენტურისათვის (ძირითადი ნომენკლატურის სამრეწველო პროდუქციის მიწოდების მოცულობა) წლის დამდევილის შეარდი შედევით, მაგრამ ეს გადაზიდვა (მიწოდების მოცულობა) არ შესრულდება სახელმისამართის პრიორული, მუშავებს პრემიები ამ პერიოდისათვის მიეცემათ ზემდგომი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით.

3. სამინისტროს შეუძლია დააწესოს, როგორც გამონაკლისი, პროფესიულის კომიტეტთან შეთანხმებით ცალკეულ საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელი მუშავებისათვის. პრემიების სხვა მაჩვენებლები და პიროვნები მათი მუშაობის თანხებურებით ვთვალისწინებით.

4. კოლონების, განყოფილებების, სამქროების და საწარმოთა, ორგანიზაციითა, სამმართველოთა, ვაერთიანებითა და სამინისტროს სხვა სტრუქტურულ ქედისაყოფა ინიცირ-ტექნიკური მუშავებისა და მოსახლეობისათვის, გარდა ამ დებულების 1-ლ პუნქტში აღნიშნული მუშავებისა, პრემიების მიეცენებულებისა და პირობების დაწესებების ხელშეკრონს, ორგანიზაციის, სამმართველოს, ვაერთიანებისა და სამინისტროს ხელმძღვანელი პროცევირის შესაბამის კომიტეტთან შეთანხმებით. ასეთი მაჩვენებლები შეიძლება იყოს შრომის ნაკრების, მოგების, შემოსავლის, რენტბელობის გეგმის, ტვირთისადგისა და მგზავრთა გადაყვანის თვითორებულების შემცირების (ან მისი ცალკეული ელემენტების) დავალების, იგრევოვ კლიენტურისა და მოსახლეობის მომსახურების დავალების მთლიანიდ და გადაჭირებით შესრულება, სამუშაოთა გადაში და გადამდე შესრულება და სხვ.

5. პრემიების სავალდებულო პირობებთან ერთად დაწესდება დამატებითი პირობები, რომელთა შესრულების მიხედვით დარიცებული პრემია შეიძლება გადიდეს ან შემცირდეს 70 პროცენტიმდე.

საწარმოების, ორგანიზაციების, სამმართველოების, ვაერთიანებებისა და სამინისტროს ხელმძღვანელ მუშავთა პრემიების დამატებით პირობებად და-

წესდება: შრომის ნაყოფიერების ზრდა, მოძრავი შემადგენლობის გამოყენება ბის ეფექტურობის ამაღლება, ახალი ტექნიკის თვისება, ხოლო დანარჩენისათვე მუშავებისათვის — მათი მუშაობის ეფექტიანობის დამახასიათებელი სხვაგვარებისა ჩვენებლებიც.

პრემირების დამატებითს პირობებს დაამტკიცებენ:

— სამინისტროს ხელმძღვანელი მუშავებისათვის (მინისტრი და მისი მოადგილები) — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, ხოლო სამინისტროს აპარატის დანარჩენი მუშავებისათვის — მინისტრი;

— უშავალოდ სამინისტროსადმი დაქვემდებარებული საწარმოების, ორგანიზაციების, სამმართველოებისა და გაერთიანებების ხელმძღვანელი მუშავებისათვის (უფროსი, დირექტორი, მათი მოადგილები, მთავარი ინჟინერი, საგეგმო განყოფილების უფროსი, მთავარი ბუღალტერი, უფროსი ბუღალტერი მთავარი ბუღალტრის უფლებების უფროსი) — მინისტრი;

— სამმართველოებისა და გაერთიანებების აპარატის ინჟინერ-ტექნიკური მუშავებისა და მოსამსახურებისათვის, ავტოთვე სამმართველოებისა და გაერთიანებებისადმი დაქვემდებარებული საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელი მუშავებისათვის (უფროსი, დირექტორი, მათი მოადგილები, მთავარი ინჟინერი, მთავარი ეკონომისტი, საგეგმო განყოფილების უფროსი, მთავარი ბუღალტერი, უფროსი ბუღალტერი მთავარი ბუღალტრის უფლებებით და ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსი) — სამმართველოს, გაერთიანების ხელმძღვანელი;

— საწარმოთა და ორგანიზაციითა დანარჩენი ინჟინერ-ტექნიკური მუშავებისა და მოსამსახურებისათვის — საწარმოს, ორგანიზაციის ხელმძღვანელი.

პრემირების დამატებითი პირობები შეუთანხმდება შესაბამის პროფესიულ ორგანიზაციას. პრემირების დამატებითი პირობების რაოდენობა ორ-სამს არ უნდა ღლეამატებოდეს.

6. დაწესებული მაჩვენებლების მიხედვით გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის საწარმოების, ორგანიზაციების, სამმართველოების, გაერთიანებებისა და სამინისტროს ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშავთა და მოსამსახურეთა პრემიების ოდენობა, დამატებითი პირობების ნუსხა და ამ პირობების შესრულების შესაბამისად პრემიების გადიდების (შემცირების) ოდენობა განისაზღვრება ყოველწლიურად შესაბამის პროფესიულ ორგანიზაციისათვის შეთანხმებით.

დაწესებული მაჩვენებლების მიხედვით გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის სამინისტროს ხელმძღვანელ მუშავთა პრემიების ამ ოდენობას და დამატებითი პირობების ნუსხას დამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, სამინისტროს აპარატის ინჟინერ-ტექნიკური მუშავებისა და მოსამსახურებისათვის — მინისტრი, ხოლო სამმართველოების, გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელი, ინჟინერ-

 75  
ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისათვის დამტკიცდება ამ ფარგლები  
ბის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

საწარმოების, ორგანიზაციების, სამმართველოების, გაერთიანებებისა და მათი სტრუქტურული ქვედანაყოფების, აგრეთვე სამინისტროს ფუნქციონალური სამშართველოებისა და განყოფილებების მიხედვით პრემიების ოდენობა დაწესდება დიფერენციულად, სამინისტროს (საწარმოს, ორგანიზაციის, სამშართველოს, გაერთიანების) სისტემაში მათი მნიშვნელობის, მათთვის დაწესებულ საგვეგმო დავალებათა მოცულობისა და სირთულის შესაბამისად. ამასთან საწარმოების, ორგანიზაციების ხელმძღვანელ მუშაკთა პრემიების ოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს მთლიანად საწარმოს, ორგანიზაციის ინუინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა პრემიების საშუალო ოდენობას მათი თანამდებობრივი სარგოების პროცენტულად, ხოლო სამშართველოს, გაერთიანებისა და სამინისტროს ხელმძღვანელ მუშაკთა პრემიების ოდენობა — სამშართველოსადმი, გაერთიანებისა და სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ საწარმოთა, ორგანიზაციათა ხელმძღვანელი, ინუინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისათვის გათვალისწინებულ პრემიების საშუალო ტექნიკური მუშაკების საშუალო ოდენობას.

თუ მოგების გეგმა შესრულდება ორ პროცენტზე მეტი გადაჭრარბებით, საწარმოთა, ორგანიზაციათა, სამშართველოთა, გაერთიანებათა და სამინისტროს ხელმძღვანელ მუშაკებს პრემიების ოდენობა ყოველი პროცენტით გადაჭრარბებით შესრულებისათვის დაუწესდებათ მატერიალური წახალისების ფონზე მოგების ანარიცხების ნორმატივის შემცირების შესაბამისად შემცირებით.

იმ შემთხვევაში, როცა საწარმოები, ორგანიზაციები, სამშართველოები, გაერთიანებები და სამინისტრო წლიურ გეგმაში გაითვალისწინებული მოგების დავალების გადიდებას ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულთან შედარებით, პრემიები დაწესდება გადიდებული ოდენობით და აღნიშნულ მუშაკებს პრემიები მიეცემათ გადიდებული წლიური გეგმების შესრულების კვალიბზე, ამასთან აუცილებლად უნდა შესრულდეს ხუთწლედის დავალებანი. ამავე წესით შეიძლება განხორციელდეს სხვა ინუინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა პრემირებაც. ამ შემთხვევებში პრემიების ოდენობა გაიზრდება გადიდებული გეგმის მიღებისთან დაკავშირებით მატერიალური წახალისების ფონზე შემოსული სახსრების ხარჯზე, აგრეთვე სამინისტროს მატერიალური წახალისების ცენტრალიზებული ფონდიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯზე.

ავტოსატრანსპორტო საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკებს პრემიები შეეზღუდებათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტისა და საკავშირო პროფსაბჭოს 1974 წლის 30 აპრილის № 14/13 განმარტების შესაბამისად, ხოლო მრეწველობის საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკებს — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 27 მარტის № 201 დადგენილების შესაბამისად.

დაწესდეს, რომ ამ დებულების შესაბამისად სამინისტროს ცენტრალური აპარატის ერთი მუშავისათვის დარიცხული პრემიების თანხა არ უნდოւნის გატებოდეს ოთხი თვის თანამდებობრივ სარგოს წელიწადში.

7. ხელმძღვანელი, ინკინერ-ტექნიკურ მუშავთა და მოსამსახურეთა პრე-მირება ხორციელდება თვის მუშაობის შედეგების მიხედვით.

ცალკეულ შემთხვევებში ზემდგომი თრგანიზაციის გადაწყვეტილებით, რაც შეუთანხმდება ზემდგომ პროფესირულ ორგანიზაციას, შეიძლება დაწესდეს პრემირების სხვა ვადები.

8. მოლიანად საწარმოს, ორგანიზაციის, სამმართველოსა და გაერთიანების მიხედვით ხარჯების ფაქტიურად შესრულებული მოცულობისათვის ხელფასის დანახარჯების დამტკიცებული ნორმატივების ხაფუძველზე გამოინგარიშებული ხელფასის ფონდის გადახარჯვისას ხელმძღვანელი მუშავებისა და სხვა იმ მუშავებისათვის დარიცხული პრემიები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან საწარმოში, ორგანიზაციაში, სამმართველოსა და გაერთიანებაში ხელფასის ფონდის ხარჯვისათვის, შემცირდება დაშვებული გადახარჯვის თანხით, მაგრამ არა უმეტეს დარიცხული პრემიების 50 პროცენტისა, გადახარჯვის ანაზღაურებამდე.

გაერთიანების მიერ შესამუშავებელ გეგმათა პროექტებში უზრუნველყოფილი უნდა იყოს გეგმების ყველა განაყოფის ურთიერთდაგავშირებულობა და გათვალისწინებულ იქნეს შინაგანი რეზერვების მთლიანად გამოყენება.

57. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო განიხილავს ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების მონაწილეობით და დაუმტკიცებს მას ხუთწლიან და წლიურ საგეგმო დავალებებს მაჩვენებლების დაწესებული სისტემის მიხედვით და უზრუნველყოფს გაერთიანებას ამ დავალებათა შესაულებისათვის საჭირო შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური, ფინანსური რესურსებითა და ხელფასის ფონდით.

გაერთიანების გეგმების ყველა დანარჩენ მაჩვენებელს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო კი არ ამტკიცებს, არამედ გაერთიანება შეიმუშავებს, და საგეგმო ორგანოები მათ გამოიყენებენ გეგმების დასაბუთებისათვის გასანაცარიშებელ მასალებად.

58. ყველა საგეგმო დავალებას ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებას გაუგზავნის მხოლოდ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო, ხოლო საწარმოო ერთეულებს — მხოლოდ გაერთიანება.

59. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება, რომელსაც აქვს საწარმოო ერთეულები სხვა ოლქებში, გეგმებს შეიმუშავებს არა მარტო დარგბრივი, არამედ აგრეთვე ტერიტორიული თვალსაზრისით შესაბამისი მაჩვენებლების მიხედვით.

60. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება მისთვის დამტკიცებული მაჩვენებლების შესაბამისად შეიმუშავებს ხუთწლიან გეგმს უმნიშვნელების მიხედვით.

ლოგისტიკი დავალებების ხუთწლედის წლების მიხედვით განაწილებით, დამტკიცებული გარეობის საჭარბო-სამეურსეო საქმიანობის დაგეგმვის ძირის ფუნდამენტია.

— გაერთიანდება მისთვის დამტკიცებული საგეგმო დავალებებისა და და-  
დებული ხელწევრულებების შესაბამისად შემსრულებს წლიურ ტექნიკურ-  
სატრანსპორტო-საფინანსო გეგმას, საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის კვარ-  
ტილურ და თვეურ გეგმებს.

გაერთიანების ხუთწლიან გეგმას, წლიურ ტექნიკურ-სატრანსპორტო-საფინანსო გეგმას, კვარტალურ და თვიურ გეგმებს დაამტკიცებს გაერთიანების გენერალური დირექტორი.

გაერთიანება შის შემადგენლობაში შესული საწარმოო ერთეულებისა-  
თვის დაწყესებს ხუთწლიანი, წლიური, კვარტალური და თვიური გეგძების  
ძირითად მაჩვენებლებს, რომლებიც უზრუნველყოფენ გაერთიანებისათვის  
დამტკიცებულ საგეგო დაფალებათ შესრულებას რაც შეიძლება შეტი ეკო-  
სომიური ეფექტით.

საწარმოო ერთეული გაერთიანების შექმნა დაწესებული მაჩვენებლების საფუძველზე შეიმუშავებს მთლიანად საწარმოო ერთეულისა და მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების საწარმოო-სამეცნიერო საქმიანობის გეგმებს.

61. የግብርና ስልጣንና በዚህ መመሪያ የሚከተሉት ነው፡፡

62. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გერთიანებისათვის დამტკიცებული საგეგმო დავალებები სტაბილური უნდა იყოს, და მათი შეცვლა შეუძლია საქართველოს სსრ საგრტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს მხლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, გერთიანების აღმნისტრაციასთან ამ ცვლილებების წინასწარ განხილვის შემდეგ, სსრ კავშირის შინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი შესით და ვალებში.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს მიერ გაერთიანების საგეგმო დავალებათა შეცვლისას ამავე დროს შესაბამისი ცვლილებები უნდა იქნეს შეტანილი ყველა ურთიერთდაკავშირებულ საგეგმო მაჩვენებლებში, ბიუჯეტთან ურთიერთობის ჩათვლით, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ბიუჯეტთან ურთიერთობის შეცვლელად.

63. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებას უფლება ქვეს მიიღოს საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან შეკვეთები ზეგეგმითი ტვირთშიდების შესახებ, თუ ამით ზიანს არ მიაყენებს დაწესებული სახელმწიფო გეგმისა და ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

64. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება ხელმძღვანელობას გაუწევს საგეგმო მუშაობის ორგანიზაციის საწარმოო ერთეულებში, ამასთან უზრუნველყოფს გეგმების ხარისხიანად და დროულად შემუშავებას, მათს სტანდილურობას, აგრძელებს განახორციელებს ყოველდღიურ კონტროლს გეგმების შესრულებისადმი და ამისათვის საჭირო ონისძიებებს.

## უფლება-მოვალეობანი შეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დარგში

65. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება მონაწილეობს ჟავორო-მობილო ტრანსპორტის განვითარების უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე შეცნიერულ-ტექნიკური პროგნოზების შემუშავებაში. ამ პროგნოზების გათვალისწინებით გაერთიანება შეიძლებავებს მოქმედ საწარმოთა ტექნიკური განვითარების პერსპექტივულ გეგმებს და ხელახალი ტექნიკური აღჭურვისა და რეკონსტრუქციის გეგმებს.

ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება მონაწილეობს დარგში შეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების პრეექტებისა და წლიური გეგმების შემუშავებაში.

66. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებას შეუძლია დაუდოს სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებს ხელშეკრულებანი გაერთიანებისათვის კომპლექსური სამუშაოების, ცალკეული მეცნიერული გამოკვლევებისა და დაპროექტების განსახორციელებლად.

გაერთიანება მოვალეა წარადგინოს შესაბამისი სამუშაოების საკოორდინაციო ორგანიზაციების დასკვნისათვის ტექნიკური დაგალებანი მეცნიერული გამოკვლევების, საცდელი, საპროექტო-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური სამუშაოების განსახორციელებლად, რომლებიც მიზნად ისახავენ შეცნიერულ-ტექნიკურ მიმართულებათა შექმნას დარგში.

აღნიშნულ სამუშაოთა ხარჯები გაიღება ამ მიზნით გაერთიანებაში არსებული სახსრებიდან.

67. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება მიიღებს ტვირთის გადაზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, სისტემატურად გააანალიზებს მათს ორგანიზაციულ დონეს სამამულო და საზღვარგარეთული მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების, საპატენტო მასალების, საერთაშორისო ორგანიზაციათა სტანდარტიზაციისა და სტანდარტების მიხედვით რეკომენდაციების, სატრანსპორტო საშუალებათა ექსპლუატაციის (გამოყენების) გამოცდილების განხოვადების შესწავლის საფუძველზე, აგრეთვე უზრუნველყოფს სატრანსპორტო პროცესის ორგანიზაციის ისეთი პროგრესული ფორმების ათვისებას, რომლებიც თავიანთი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებით შეესაბამებიან სამაშულო და საზღვარგარეთული გამოცდილების უმაღლეს მიღწევებს.

68. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება:

ა) შეიძლება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ტექნიკურ-ეკონომიკურ ნორმატივებს, ნედლეულის, სათბობის, მასალების ხარჯებისა და მარაგის ნორმებს, საწარმოო და საექსპლუატაციო საჭიროებისათვის თბოენერგიისა და ელექტროენერგიის ხარჯების ნორმებს;

ბ) დაამტკიცებს ნორმებსა და ნორმატივებს საქართველოს სსრ სავტომობილო ტრანსპორტის მიერ დაწესებული ნუსხის მიხედვით მისი კომპეტენციის ფარგლებში;

გ) შეუძლია დააწესოს საწარმოო ერთეულების მიერ დასამტკიცებელი ნორმებისა და ნორმატივების ნუსხა.

69. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება უზრუნველყოფს ჭალ-  
შოების ტექნიკური დონის განუწყვეტლივ მაღლებას, წარმოებაში გამოყენება  
ბული ტექსტოგიური პროცესებისა და მათი მართვის სისტემების სრულყო-  
ფას, ძირითადი და დამხმარე საწარმოო პროცესების კომპლექსურ მექანიზა-  
ციასა და ავტომატიზაციას.

გაერთიანება შეიძლება და დამტკიცებს დადგენილი წესით მეცნიე-  
რებისა და ტექნიკის განვითარების პრესტიულ და წლიურ გეგმებს, ამას-  
თან გაითვალისწინება გამოგონებითა გამოყენებას აღნიშნულ გეგმებში.

70. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება მოაწყობს მუშაობას  
გამოგონებლობისა და რაციონალიზაციის დარგში პრესტიული და მიმდი-  
ნარე თემატიკური გეგმების საფუძველზე, უზრუნველყოფს გამოგონებათა და  
რაციონალიზატორულ წინადადებითა დროულად გამოყენებას, აგრეთვე გამო-  
გონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა გამოყენებისათვის გასამრ-  
ჯელოს და გამოგონებლობისა და რაციონალიზაციის ხელშეწყობისათვის  
პრემიების გაცემის დადგენილი წესით.

გაერთიანება მოაწყობს გამოცდილების გაზიარებას, ჩატარებს შეჯიბრე-  
ბას, კონკურსებისა და დათვალიერებების გამოგონებლობისა და რაციონალი-  
ზაციის დარგში შესაბამის პროფესიულ ორგანოსთან და გამოგონებელთა  
და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების ორგანიზაციასთან ერთად.

გაერთიანება დადგენილი წესით დროულად გამოავლენს იმ გამოგონე-  
ბებს, რომლებიც გაერთიანების მუშაკებმა შექმნეს სამსახურებრივ დავალე-  
ბათა შესრულებასთან დაკავშირებით, უზრუნველყოფს განაცხადების გაფორ-  
მებასა და შეტანას სხრ კავშირში საავტორო მოწმობების მისაცემად და  
საჭირო შემთხვევებში საზღვარგარეთ პატენტების მისაღებად.

გაერთიანება წარადგენს დადგენილი წესით წინადადებებს ლიცენზიების  
ყიდვა-გაყიდვის თაობაზე და პასუხისმგებელია შესყიდული ლიცენზიების მი-  
ხედვით ღონისძიებათა დროულად განხორციელებისათვის.

71. მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივის განვითარების მიზნით ავ-  
ტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება ყოველი ღონისძიებით შეუწყობს  
ხელს სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებისა და გამოგონებელთა და რა-  
ციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების პირველადი ორგანიზაციების საქ-  
მიანობას, მიიჩიდავს მთა წარმოების ტექნიკური განვითარების კონკრეტული  
ამოცანების გადასაწყვეტად, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების პრეს-  
ტიული და მიმდინარე გეგმების შესასრულებლად, გამოგონებათა და რა-  
ციონალიზატორულ წინადადებათა დასაწერებად.

გაერთიანება უზრუნველყოფს აღნიშნულ პირველადს ორგანიზაციებს,  
აგრეთვე საზოგადოებრივ საკონსტრუქტორო, ტექნოლოგიურ და საპატენტო  
ბიუროებს, ნორმირების ბიუროებს, ნოვატორთა საბჭოებს, მოძრაობის უსა-  
ფრთხოების საბჭოებს, ეკონომიკური ინალიზის ბიუროებსა და ჯგუფებს, ტექ-  
ნიკური ინფორმაციის ბიუროებს, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის საბჭო-  
ებსა და სხვა შემოქმედებითს გაერთიანებებს სადგომებით, მოწყობილობით,  
ხელსაწყოებით, ინვენტარით, ტექნიკური და საცნობარო ლიტერატურით.

წარმოების ტექნიკური სრულყოფის საქმეში მონაწილეობისათვის მუშად ნერ-ტექნიკურ მუშავთა და ნოვატორ მუშავთა უფრო ფართო ჩამოსის მიზანთ გაერთიანებას შეუძლია შესაბამის პროფესიულ ორგანიზაციას და უზრუნველყოფის გაერთიანების საზოგადოების პირებისადმი მომართოს საბჭოს ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების ტექნიკურ-ეკონომიკური საბჭოს ფუნქციების განხორციელება.

72. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების აღმინისტრაცია შესაბამის პროფესიულ ორგანიზაციას და სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებისა და გამომგონებელთა და რაციონალური ტრანსპორტის საზოგადოების პირებისა და გამომგონებელთა და რაციონალური ტრანსპორტის საზოგადოების პირების საწარმოო-ტექნიკურ და ეკონომიკურ კონფერენციებსა და ინინერ-ტექნიკურ მუშავთა, წარმოების მოწინავეთა და ნოვატორთა თათბირებს ტექნიკური პროგრესის, გაერთიანების ეკონომიკური განვითარების საკითხების განსახილველად და ტექნიკის, ტექნოლოგიის, წარმოების მართვის შემდგომი სრულყოფისათვის გამიზნული რეკომენდაციებისა და წინადაღებების შესამუშავებლად, უზრუნველყოფის ამ რეკომენდაციებისა და წინადაღებების დროულად განხორციელებას.

### უფლება-მოვალეობანი კაპიტალური მშენებლობის დარგში

73. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება განახორციელებს კაპიტალურ მშენებლობას, უზრუნველყოფს კაპიტალურ დაბანდებათა რაც შეიძლება ეფუძებელიანად გამოყენებას, უზინარეს ყოვლისა მათს წარმართვებს ძირითადი ფონდების ხელახალი ტექნიკური და რეკონსტრუქციისათვის, თადარი ფონდების ხელახალი ტექნიკური და რეკონსტრუქციისათვის, გაერთიანების ფარგლებში პროპრიეტეტის გაუმჯობესებისათვის, ასამოქმედებელ მშენებლობებსა და ობიექტებზე სახსრების კონცენტრაციისათვის, დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობის შემცირებისათვის.

74. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება მიიღებს ზომებს მშენებლობის ღირებულებისა და გადების შესამცირებლად და ხარისხის გასაუმჯობესებლად, აგრეთვე უზრუნველყოფს მშენებლობის ხანგრძლივობის დაწესებული ნორმებისა და საწარმოო სიმძლავრეთა და ბირითადი ფონდების ამოქმედების ვადების დაცვას, აითვისებს ახლად ამოქმედებულ საწარმოო სიმძლავრეებს მათი ათვისების ხანგრძლივობის ნორმებით გათვალისწინებულ ვადებში.

75. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება განახორციელებს კაპიტალურ მშენებლობასა და ძირითადი ფონდების რეკონსტრუქციის სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებთან დადებულ საიგარო ხელშეკრულებათა მიხედვით. იმ შემთხვევებში, როცა საიგარო წესით კაპიტალური მშენებლობის სამუშაოთა წარმოება ეკონომიკურად მიზანშეუწონელია, ასეთი სამუშაოები შეიძლება შესრულდეს სამეურნეო წესით.

76. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება დაუდებს საპროექტო ორგანიზაციებს ხელშეკრულებებს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესამუშავებლად.



77. ავტოსატრანსპორტო საჭიროობა გაერთიანება დამტკიცებს: უსაყოფად

— საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასა და სატიტულო მშენებელის  
საწარმოო დანიშნულების მოქმედი ობიექტების გაფართოებისათვის (რეკონს-  
ტრუქციისათვის), რაც ხორციელდება წარმოების განვითარების ფონდის სახ-  
სრების ხარჯზე, მიუხედავად სამუშაოთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულებისა;

— საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასა და სატიტულო სიებს  
ობიექტების მშენებლობისა და გაფართოებისათვის (რეკონსტრუქციისათვის),  
რაც ხორციელდება სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშე-  
ნებლობის ფონდის სახსრებისა და დაფინანსების სხვა არაცენტრალიზებული  
წყაროების ხარჯზე, მიუხედავად სამუშაოთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულებისა;

— სატიტულო სიებს საცხოვრებელი სახლების, კულტურულ-საყოფა-  
ცხოვრებო დანიშნულებისა და კომუნალური მეურნეობის ობიექტების მშენე-  
ბლობისათვის, რაც ხორციელდება ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდე-  
ბების ხარჯზე, გარდა ახლად ასაშენებელი თეატრების, კინოთეატრების, კიბე-  
კების, საკონცერტო, კინოსაკონცერტო, საგმოფენო და სპორტული დარბაზე-  
ბის, კულტურისა და სპორტის სახლების, კულტურის სახლებისა და კლუ-  
ბების, სტადიონების, საცურაო აუზების, ხელოვნურყინულიანი საციგურაოე-  
ბისა და ბილიკების და სხვა ანალოგიური ობიექტების, აგრეთვე სანატორიუ-  
მების, დასასვენებელი სახლებისა და პანსიონატების სატიტულო სიებისა;

— სატიტულო სიებს შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკისა და სა-  
წარმოო სანიტარიის უზრუნველყოფის სამუშაოთა განსახორციელებლად;

— შინასამშენებლო სატიტულო სიებს მოიგარესთან შეთანხმებით.

სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ფონ-  
დის ხარჯზე საცხოვრებელი სახლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო  
დანიშნულების ობიექტების მშენებლობის სატიტულო სიებს, აგრეთვე შრო-  
მის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის უზრუნველ-  
ყოფის სამუშაოთა სატიტულო სიებს დამტკიცებს სამმართველო (გაერთიანე-  
ბა) შესაბამის პროფესიულ ორგანოსთან შეთანხმებით.

78. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებას უფლება აქვს გადასცეს  
ხელშეკრულებათა საფუძველზე საიგარო ორგანიზაციებს მათი თანხმობით სა-  
შენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესრულება და ამასთან დაკავშირებით  
შესაბამისი ხელფასის ფონდები, მატერიალური რესურსებისა და მასალების  
ფონდები, რაც შემდგომ უნდა ეცნობოს საქართველოს სსრ საერთომობილო  
ტრანსპორტის სამინისტროს.

79. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებას უფლება აქვს დამ-  
ტკიცოს საიგარო ორგანიზაციასთან შეთანხმებით იმ სამუშაოთა ერთეული  
ფასდებანი, რომელთა მოთხოვნილებაც წარმოიშობა მშენებლობის მიმდინა-  
რეობისას, თუ იმ სამუშაოთა ფასდებანი დამტკიცებული არ არის დადგენილი  
წესით.

80. კაპიტალური რემონტის სამუშაოთა გეგმებსა და შესაბამის სახარჯზე აღრიცხვო—საფიხანსო გაანგარიშებებს დამტკიცებს ავტოსატრანსპორტო სა-წარმოო გაერთიანების უფროოსი. კაპიტალური რემონტის სამუშაოები ჰქონდება ელექტრიკულ როგორც სამუშაოები, ისევე საიჯარო წესით.

იმ შემთხვევაში, თუ გაერთიანებამ კაპიტალური რემონტის სამუშაოთა მოცულობა გადასცა საიჯარო ორგანიზაციის, გაერთიანებას უფლება აქვს გა-დასცეს საიჯარო ორგანიზაციის იგრძელებულ შესაბამისი ხელფასის ფონდები, მა-ტერიალური რესურსებისა და მისაღების ფონდები, რაც შემდგომ უზდა აც-ნობოს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს.

81. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებას უფლება აქვს გამოიყე-ნოს სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების მშენებლობისათვის იმ სახსრების ნაწილი, ომებლიც ცენტრალიზებული წესით გამოყოფა მას საბინაო მშენებ-ლობისათვის.

გადაწყვეტილებას სახსრების ასეთი გამოყენების შესახებ მიიღებს გაე-რთიანების უფროოსი შესაბამის პროფესიულ ორგანოსთან ერთად.

82. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებას შეუძლია განახორცი-ელოს საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, კომუნალური მეურნეობის მიმართ ექტენსიური სამედიცინო და სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების, პიონერთა ბანაკებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა მიმექტე-ბის მშენებლობა და გაფართოება სხვა საწარმოებთან და ორგანიზაციებთან ერთად (წილობრივი მონაწილეობის წესით) ამ მიზნით გაერთიანებისათვის გეგმით გათვალისწინებულ კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე.

**უფლება-მოვალეობანი მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების დარგზე**

83. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება ჩვენს ქვეყანაში მოქმე-დი მომარაგება-გასაღების საერთო-სახელმწიფოებრივი სისტემის გათვალისწი-ნებით მოაწყობს და უსრუचველყოფს გაერთიანების მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებას.

84. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება დაუწესებს საწარმოო ერთეულებს მატერიალურ ფასეულობათა მარაგის ნორმატივებს, აგრძელებს გა-მოუყოფს მათ მატერიალური რესურსების ლიმიტებს (ფონდებს) და გადაანა-წილებს მათ დადგენილი წესით საწარმოო პროგრამის ცვლილების გათვალისწი-ნებით.

გაერთიანების ადგილსამყოფელის გარეთ მდებარე საწარმოო ერთეული მიიღებს ფონდებს: გაერთიანებისაგან — საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს მიერ განაწილებული მატერიალური რესურსები-სათვის და ამ საწარმოო ერთეულის ადგილსამყოფელის მიხედვით მატერია-ლურ-ტექნიკური მომარაგების ტერიტორიული ორგანოებისაგან — აღნიშნუ-ლი ორგანოების მიერ განაწილებული მატერიალური რესურსებისათვის. ეს სა-წარმოო ერთეული ფონდებს გასაღებს დადგენილი წესით.

85. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება განახორციელებს მის-თვის გამოყოფილი ფონდების რეალიზაციის, პასუხს აგებს მატერიალური რე-სურსების ეფექტურიანად გამოყენებისა და დაცვისათვის.

86. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება განახორციელებს განახორციელებს ნომიკურად მიზანშეწონილი პირდაპირი ხანგრძლივი სამეურნეო კავშირებს გროვის გაფართოების ღონისძიებებს და ამ მიზნით წარუდგენს მიმწოდებლებთან მყიდველთა მიმმაგრებელ ორგანოებს წინადადებებს ასეთი კავშირულობის გრძელვადიან სამეურნეო ხელშეკრულებებს სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებს.

მიწოდების თაობაზე მიმწოდებლებსა და მყიდველებს შორის დამყარებული პირდაპირი ხანგრძლივი სამეურნეო კავშირულობის შეცვლა დასაშვებია საჭირო შემთხვევებში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის დაცვით.

87. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებას შეუძლია დაუდოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ტერიტორიულ ორგანოებს გაერთიანების მომარაგების უზრუნველსაყოფად გრძელვადიანი ხელშეკრულებანი, რომლებიც გაითვალისწინებენ მის გარანტირებულ კომპლექსურ მომარაგებას პროდუქციით (რომელიც გამოყოფილია როგორც ფონდების მიხედვით, ისევე უფონდო მომარაგების წესით), პროდუქციის მომზადებას საწარმოო მოხმარებისათვის, მასალებისა და ნაკეთობების ცენტრალიზებულ მიწოდებას შეთანხმებული გრაფიკების მიხედვით, ზედმეტი და გამოყენებელი მატერიალური ფასეულობების რეალიზაციას და სხვა მომსახურების გაწევას.

აღნიშნული ხელშეკრულების დამდებ გაერთიანებას უფლება აქვს გადასცეს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ტერიტორიულ ორგანოს შეთანხმებული ოდენობით თავისი მატერიალური რესურსების მარაგი.

88. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებას შეუძლია შეიძინოს ფონდების გარეშე სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან უგანრიგებოდ სარეალიზაციო პროდუქცია, ზედმეტი მატერიალური ფასეულობანი, აგრეთვე იყიდოს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საჭირო საგნები საბითუმო და საცალო ვაჭრობის წესით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

89. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებას უფლება აქვს გადასცეს სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებს ფონდები და მისცეს მათ თავისი რესურსებიდან მასალები, საკომპლექტებელი მოწყობილობა დაწესებული ნორმების მიხედვით, რათა დაუმზადონ გაერთიანებისათვის საჭირო პროდუქცია ხელშეკრულებათა საფუძველზე.

90. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებას უფლება აქვს მთლიანად ან ნაწილობრივ თქვეს უარი მისთვის გამოყოფილ პროდუქციაზე და ხელშეკრულების დადებაზე, ამასთან ასეთი უარის შესახებ უნდა ცნობოს მიმწოდებელს, ფონდმფლობელსა და განრიგის გამცემ ორგანოს მისთვის პროდუქციის გამოყოფის შესახებ შეტყობინების მიღების შემდეგ და განრიგის მიღების შემდეგ არა უგვიანეს ათი ღლის ვადაში.

გაერთიანებას უფლება აქვს აგრეთვე მიმწოდებელთან შეთანხმებით უარი თქვას ხელშეკრულებით გაფართოებული პროდუქციის მიღებაზე, რის შე-

სახებაც ხუთი დღის ვადაში უნდა შეატყობინოს ფონდმფლობელსა და განრიცხვის გამცემ მოგანოს.

91. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებას უფლება აქვს დადგენილი წესით და მისთვის გამოყოფილი ფონდების ფარგლებში მისცეს იმ ორგანიზაციებს, რომლებიც უსრულებენ მას სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებს, ამ სამუშაოთა განსახორციელებლად საჭირო ნედლეული, მასალები, ნახევარფაბრიკები და მზა ნაკეთობანი ანაზღაურებით.

92. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებას უფლება აქვს მისცეს სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებს მათი საწარმოო-სამეცნიერო საქმიანობისათვის საჭირო საწარმოო ნარჩენები ჩაბარების გეგმის გადამეტებით, თუ მოქმედი კანონმდებლობით დაწესებული არ არის სხვა პირიბა.

### უფლება-მოვალეობანი კადრების, შრომისა და ხელფასის დარგში

93. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება შეარჩევს და გაანაწილებს გაერთიანების ნომენკლატურაში შემავალ ხელმძღვანელ კადრებს, განსაზღვრავს ნორმატივების მიხედვით მიმღინარე და პერსპექტიულ მოთხოვნილებას შრომითს რესურსებზე, მათ შორის უმაღლესი და საშუალო-სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტებსა და კვალიფიციურ მუშებზე, მიიღებს ზომებს ახალგაზრდა სპეციალისტთა და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების კურსითმოარებულთა რაციონალური გამოყენებისათვის, განხორციელებს ღონისძიებებს გაერთიანების მუდმივი კადრების შექმნის მიზნით.

94. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება განუწყვეტლივ სრულყოფს თავის სტრუქტურას, ამასთან უზრუნველყოფს წარმოების მართვის ხარჯების მაქსიმალურად შემცირებას მართვის ოპტიმალური სქემების, ინჟინერ-ტექნიკურ მუშავთა და მოსამსახურეთა ნორმატივების, მართვის ყველაზე ეკონომიური პარაგადის მქონე გაერთიანებათა გამოცდილების გამოყენების, თანამედროვე გამოსათვლელი ტექნიკის დანერგიის, საინინრო-ტექნიკურ და სამართველო სამუშაოთა მექანიზაციის საფუძველზე.

95. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება განახორციელებს და განუწყვეტლივ სრულყოფს შრომის ორგანიზაციის, განცხრელად აამაღლებს მისი ნორმირების ღონეს; სისტემატურად შეამოწმებს შრომის მოქმედ ნორმებსა და ნორმატივებს, დადგენილი წესით შემოიღებს ღროის, მომსახურების სადარგთაშორისო და დარგობრივ ნორმებს და გამოსაყენებლად სავალდებულ სხვა ნორმატივებს, შექმნის მაღალადაყოფილი მუშაობის პირობებს, ამასთან მიაღწევს შრომის ნაყოფიერების განუწყვეტლივ ზრდას. უზრუნველყოფს შრომის კანონმდებლობის, შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკის, საწარმოო სანიტარიის, სახელმწიფო სოციალური დაზღვევის წესებისა და ნორმების შესრულებას, განახორციელებს გამაჯანსაღებელ ღონისძიებებს, უზრუნველყოფს შრომის დისციპლინის დაცვას.



გაერთიანების კოლექტივის თითოეულმა წევრმა მრკიცედ უნდა დაგვიცემა  
შრომითი შინაგანაწესი.

96. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება განახორციელებს ღონისძიებებს, რათა გაძლიერდეს მუშავთა მატერიალური დაინტერესება როგორც მათი პირადი შრომის შედეგებით, ისევ საწარმოო ერთეულებისა და მთლიანად გაერთიანების მუშაობის საერთო შედეგებით, უზრუნველყოფს სწორ თანაფარდობას შრომის ნაყოფიერების ზრდასა და ხელფასის ზრდას შორის. ხელფასის ფონდისა და მატერიალური წახლისების ფონდის ეკონომიკურად და რაციონალურად ხარჯებს, აგრეთვე დროულად ახგარიშვორებას ზუშებთან და მოსამსახურებთან.

97. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება შექმნის სასწავლო-მატერიალურ ბაზას უშუალოდ წარმოებაში კიდრების სწავლებისთვის და სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კინომდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს შეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნების გათვალისწინებით რუშათა ახალი კადრების მომზადებას, ძუშებისათვის ახალი პროფესიების სწავლებას და მუშავთა საშაროო კვალიფიკაციის სისტემატურ მიმღებას. ამ მიზნით, ინდივიდუალური და ბრიგადული სწავლების გარდა, გაერთიანებაში შეიქმნება საწარმო-ტექნიკური კურსები, შრომის მოწიავე ტეთოდების შემსწავლელი სკოლები.

წარმოებას მოუწყვეტლივ სასწავლებლებში მოსწავლე მუშავებს გაერთიანება შეუქმნის საჭირო პირობებს, რათა სწავლა შეუთავსონ მუშაობას, მიანიჭებს მათ მოქმედი კინომდებლობით გათვალისწინებულ შეღავათებს.

98. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება ყოველი ღონისძიებით შეუწყობს ხელს საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელ სკოლას, საღამოს (ცვლის) პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელს, კვალიფიკაციის სამაღლებელ კურსებსა და სასწავლო-საკურსო კომბინატის, რომლებშიც გაერთიანების ძუშავები სწავლობენ; უზრუნველყოფს საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოწველეთა, უძალესი სასწავლებლების სტუდენტთა და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეთა საწარმოო სწავლებისათვის საჭირო პირობებს, მოქმედი კინომდებლობის შესაბამისად მოაწყობს და განახორციელებს უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულთა სტაციორებას, გამოუყოფს უმაღლეს, საშუალო-სპეციალურ სასწავლებლებსა და პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლების სამუშაო დაგილებსა და თანამდებობებს საწარმოო პრაქტიკის გავლის დროს სტუდენტთა (მოსწავლეთა) მიერ დასავავებლად.

99. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება და საწარმოო ერთეულები მათ წინაშე დასახული მოცანების წარმატებით შესრულებისათვის წახლისდებიან მოქმედი კანონმდებლობისა და სოციალისტური შეჯიბრების პირობების შესაბამისად.

მუშაობაში მიღწევებისა და ინიციატივის გამოჩენისათვის გაერთიანება მუშა-მოსამსახურების მიმართ გამოიყენებს მოქმედი კანონმდებლობით, შრო-

မით უინგანწესითა და დისციპლინის წესდებებით გათვალისწინებულ წახალისების ღრმისძიებებს.

გაერთიანების მუშები და მოსამსახურები სამეურნეო მშენებლობის დარღვევი განსაკუთრებით ოფიციალული საქმიანობისა და მაღალი საწარმოო /მაჩვენებლებისათვის წარდგენილ იქნებიან დადგენილი წესით სსრკავშირის ორდენებითა და მედლებით ღამაჯილდობებლად, საპატიო წოდებებისა და სოციალისტური შრომის გმირის წოდების მისანიჭებლად:

100. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება უზრუნველყოფს მუშავთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების სისტემატურ გაუმჯობესებას, მოაწყობს საცხოვრებელი სახლების, სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების, სააგადმყოფოებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობას, ხელს შეუწყობს კომპერაციულ და ინდივიდუალურ საბინაო მშენებლობას.

101. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება:

ა) დააწესებს შრომის სანარდო, ღრმობრივ ან აკორდულ ანაზღაურებას: მუშავთა ცალკეული ჯგუფებისათვის, ხოლო მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში — ინჟინერ-ტექნიკური მუშავებისა და მოსამსახურებისათვის;

ბ) იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს გაერთიანების მუშავთა მატერიალური დაინტერესება საწარმოო გეგმების მთლიანად და გადაჭიარებით შესრულებით, შრომის ნაყოფიერების გადიღებით, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებით, აგრეთვე წარმოების ეფექტუაციანობისა და რენტაბელობის ამაღლებით, შეიმუშავებს და დამტკიცებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დებულებებს მთლიანად გაერთიანების ხაზით პრემირების შესახებ. ამასთან საწარმოო ერთეულების ხელმძღვანელ მუშავთა, აგრეთვე მუშავთა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშავთა და მოსამსახურეთა პრემირების მაჩვენებლებს, პირობებსა და ოდენობას დააწესებს გაერთიანების უფროსი.

საწარმოო ერთეულების მუშავთა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშავთა და მოსამსახურეთა პრემირების მაჩვენებლებს, პირობებსა და ოდენობას დააწესებენ აღნიშნული ერთეულების ხელმძღვანელები გაერთიანების მუშავთა პრემირების დებულებების შესაბამისად;

გ) შეიმუშავებს და დამტკიცებს დებულებას მთლიანად გაერთიანების ხაზით მუშავთა წლიური შედევებისათვის გასამრჯელოს გაცემის შესახებ, რომლის საფუძველზეც საწარმოო ერთეულების ხელმძღვანელები დამტკიცებენ ამ ერთეულების მუშავთათვის გასამრჯელოს მიცემის წესსა და პირობებს;

დ) განსაზღვრავს იმ მუშავთა პროფესიების ნუსხის, რომლებისთვისაც შრომის ღრმებრივი ანაზღაურებისას გამოიყენება მენარდეთა სატარიფო განკვეთები, აგრეთვე მუშავთა ცალკეულ პროფესიებს, რომლებსაც სატარიფო განკვეთების ნაცვლად დაუწესდებათ თვიური სარგები, დადგენილი წესით დამტკიცებული ნუსხის შესაბამისად. ღრმებრივი მუშებისათვის მენარდე მუშების სატარიფო განკვეთების გამოყენება შეიძლება იმ პირობით, თუ ისინი მუშავთა შრომითი დანახარჯების დარგობრივი და სხვა ტექნიკურად ღამა-

ბუთებული ნორმების (ნორმირებული დაცალებების, მომსახურების ნორმებისა და რიცხოვნობის ნორმირების) მიხედვით;

ე) განსაზღვრავს მუშათა პროფესიებისა და სამუშაოების ნუსხებს, რომლებიც ნაზღაურდება გადიღებული სატარიფო განაკვეთებით შრომის მძიებ და მავნე პირობებთან, შრომის განსაუთრებით მძიმე და განსაუთრებით მავნე პირობებთან დაკავშირებით, წარმოების დარგების მიხედვით ამ პროფესიებისა და სამუშაოების მოქმედი ტიპობრივი ნუსხების შესაბამისად;

ვ) დაწესებს სამუშაოთა თანრიგებს და მიაკუთხნებს მუშებს თანრიგებს სატარიფო-საკუალიფიკაციო ცნობარების შესაბამისად;

ზ) დაუწესებს თანამდებობრივ მოვალეობებსა და საკუალიფიკაციო მოთხოვნებს ხელმძღვანელობს, სპეციალისტებსა და ტექნიკურ შემსრულებლებს მოსამსახურეთა თანამდებობების საკუალიფიკაციო ცნობარის შესაბამისად და განახორციელებს დადგენილი წესით გაერთიანების ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და სხვა სპეციალისტთა ატესტაციას; საყირო შემთხვევებში საკუალიფიკაციო ცნობარის საფუძველზე შეიმუშავებს თანამდებობრივ ინსტრუქციებს ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა ცალკეული კატეგორიებისათვის;

თ) მიაკუთხნებს საწარმოო ერთეულებს, აგრეთვე საწარმოო ერთეულების სამქროებს, კოლონებს, უბნებსა და სხვა სტრუქტურულ ქვედანაყოფებს ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების შესაბამის ჯგუფს, აგრეთვე გადიყვანს მათ ერთი ჯგუფიდან მეორეში წარმოების მოცულობის შეცელითან დაკავშირებით, ამასთან იხელმძღვანელებს დადგენილი წესით დამტკიცებული მაჩევებლებით;

ი) დაუწესებს მუშაკებს, რომელთა სამუშაო დღე ნორმირებული არ არის, დამატებით შევებულების ხანგრძლივობის შრომის კანონმდებლობისა და დადგენილი წესით დამტკიცებული იმ მუშაკთა თანამდებობების ნუსხის შესაბამისად, რომელთა სამუშაო დღე ნორმირებული არ არის:

კ) შემოიღებს იმ ცალკეული საწარმოო ერთეულების ან მათი ქვედანაყოფების მუშათა და მოსამსახურეთა სამუშაო დროის შეფარებულ აღრიცხვას, სადაც წარმოების (მუშაობის) პირობების მიხედვით არ შეიძლება დაცულ იქნეს მოცემული კატეგორიის მუშა-მოსამსახურებისათვის დაწესებული სამუშაო დროის ყოველდღიური ან ყოველკვირული ხანგრძლივობა;

ლ) დადგენილი წესით დამტკიცებს გამომუშავების ახალ ნორმებს და გადასინჯავს მოქმედ ნორმებს, მომსახურების ნორმებს, მუშაკთა რიცხოვნობის ნორმატივებს და შრომითი დანახარჯების სხვა ნორმატივებს, ამასთან გააღიდებს ტექნიკურად დასაბუთებული ნორმების ხევდრითს წონას;

მ) დამტკიცებს იმ წარმოებათა ნუსხს, რომლებშიც მუშაობის ხსიათის მიხედვით არ შეიძლება დაწესდეს მუშაკებისათვის შემოკლებული სამუშაო დღე დასევნებისწინა (თუ სამუშაო კეირი ექვესდღიანია) და დღესასწაულისწინა დღეებში, არამედ უნდა მიეცეთ დამატებითი დასვენების დღე ზედმეტად ნამუშევარი საათების დაგროვების კვალობაზე.

ემ პუნქტის „ა“ და „მ“ შევებუნეტებში ღრინიშნულ ორისძიებებს განახორციელებს გაერთიანების უფროსი, ხოლო „ბ“ და „გ“ შევებუნეტებით გათვალის-



წინებულ შემთხვევებში — აგრეთვე საწარმოო ერთეულის ხელმძღვანელის გაერთიანების, საწარმოო ერთეულის ხელფასის ფონდისა და მატერიალური წახალისების ფონდის ფარგლებში შესაბამის პროფესიულ ორგანოსთან შეთანხმებით;

6) შესაბამის პროფესიულ ორგანოსთან შეთანხმებით დაწესებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით დამტკიცებული და რკობრივი ნორმების საფუძველზე იმ სამუშაოთა და პროფესიათა ნუსხებს. რომლებიც უფლებას აძლევს მუშებსა და მოსამსახურებს უფასოდ მიიღონ სპეციალისაცმელი, სპეციალისაცმელი და დამცავი სამარჯვები, აგრეთვე იმ სამუშაოთა და პროფესიათა ნუსხებს, რომლებიც უფლებას აძლევს მუშებსა და მოსამსახურებს მიიღონ რეა შრომის მაენ პირობებთან დაკავშირებით და სპეციალური საპონი.

102. აეტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების შესაბამის პროფესიულ ორგანოსთან შეთანხმებით შეუძლია ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა დანერგების საფუძველზე ნორმების გადასინჯების გამოიყენოს ამასთან დაკავშირებით დაზოგილი სასტაციების ნაწილი მუშათა შრომის დამატებითი ანაზღაურებისათვის გამომუშავების ახალი ნორმებისა და მომსახურების ნორმების ათვისების პერიოდში 3-6 თვის განმავლობაში. ამ დაზოგილი სახსრების ხარჯზე შეიძლება პრემირებულ იქნენ აგრეთვე საწარმოო უბნების ოსტატები და სხვა ინჟინერ-ტექნიკური მუშავები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ აღნიშნულ ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა შემუშავებასა და დანერგვაში.

103. აეტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებას უფლება აქვს დაუწესოს მაღალკალიფიციურ ასტატებსა და სხვა ინჟინერ-ტექნიკურ მუშავებს ხელფასის დანამატებით თანამდებობრივი სარგოს 30 პროცენტუალდე ღონისძიებათ ხელფასის დაგეგმილი ფონდის ფარგლებში, ამასთან გამოიყენოს ამ მიზნით გაერთიანების ხელფასის დაგეგმილი ფონდის 0,3 პროცენტუალდე. აღნიშნული დანამატებით საშტატო განრიგის მიხედვით საშუალო ხელფასის ოდენობის განსაზღვრისას არ აღირიცხება.

104. აეტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებას უფლება აქვს შესაბამის პროფესიულ ორგანოსთან შეთანხმებით:

ა) დაწესოს გამომუშავების შემცირებული ნორმები ახალგაზრდა მუშებისათვის, რომლებმაც მუშაობა დიწყეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისა და კურსების დამთარების შემდეგ; აგრეთვე გაიარეს სწავლება უშუალოდ წარმოებაში, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში და ოდენობით მათვების განსაზღვრულ ვალებში;

ბ) დაუშვან მიზანშეწონილობის შემთხვევაში პროფესიების (თანამდებობების) შეთავსება, მოსამსახურების ზონების გაფართოება ან შესასრულებელ სამუშაოთა მოცულობის გადიდება და დაუწესონ შესაბამისი დანამატები განვევთს ან სარგოს 30 პროცენტუალდე ღონისძიებით მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშავებისა და მოსამსახურების.



განაკვეთებისა და სარგოების დანამატები შეიძლება შემცირდეს ანამდებარება უზუღმებელი ახალი ტექნიკის დანერგვის, შრომის ორგანიზაციისა და წარმოების მართვის სრულყოფის ღონისძიებათა განხორციელებისას და მასთან დაკავშირებით რიცხოვნობის ახალი ნორმატივების, მომსახურების ნორმებისა და შრომითი დანახარჯების სხვა ნორმატივების შემთხვებისას;

გ) დაუწესონ დანამატები სარგოს 30 პროცენტამდე ოდენობით სამქროთა უფროსებისა და მათს მოადგილეებს, ცვლების (უბნების) უფროსებს, უფროს ისტატებს, ისტატებისა და სხვა ინკინერ-ტექნიკურ მუშავებს, რომლებიც უშუალოდ მუშაობენ იმ სამქროებში, სადაც შემუშავებულ ორგანიზაციულ ტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად მომსახურებულ უბნებზე პერსონალის რიცხოვნობის შემცირებით უზრუნველყოფილია შრომის ნაყოფიერების გადიდება გეგმისთან შედარებით. ამითონ გაერთიანებისათვის დაწესებული მმართველობის აპარატის შენხვას ზღვრული მიგნებანი ხექიროველოს სტაციონარული ტრანსპორტის სამინისტროს ნებართვით გადიდება ღინიშნული დანამატების თანხის ოდენობით. შრომის ნაყოფიერების მიღწეული ღონის შემცირების ინ პერსონალის რიცხოვნობის გადიდების დროს (გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს ვამოწვეულია ბუნებრივი პირობების შეცვლით ხარგოების დანამატები შეიძლება შემცირდეს იმ გაუქმდეს;

დ) მისცენ ერთდროული გასამრჩევლო მუშებს, ხელმძღვანელ და ინფინიტექნიკურ მუშავებს იმ ღონისძიებათა შემუშავებისა და განხორციელებისათვის, რომლებიც უზრუნველყოფენ მუშავთა რიცხოვნობის შემცირებას და შრომის ნაყოფიერების გადიდებას გეგმისთან შელარებით. ვისმრჩელოს ოდენობა დაწესდება შრომის ნაყოფიერების გადიდების მიღწეული ღონისა და იღნიშნულ ღონისძიებათა დანერგვის შედეგად მიღებული ხელფასის ფონდის ფაქტური ეკონომიის შესაბამისად.

ე) პუნქტის „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებში გათვალისწინებული დანამატები და გასამრჩევლო გაიცემა მომსახურების სადარგოაშორისო და დარგობრივ ნორმატივებთან და შრომითი დანახარჯების სხვა ნორმატივებთან შედარებით მუშავთა რიცხოვნობის გათვალისუფლების შედეგად მიღებული ხელფასის ფონდის ეკონომიის ხარჯზე;

ვ) მისცენ დანამატები დროებრივ მომუშავეებს, რომლებიც თავიანთ სამუშაოსთან ერთად დროებით ასრულებენ არმყოფი მუშების მოვალეობებს (ავადმყოფობის, შეცბულების, მივლინების შემთხვევაში და სხვა მიზეზების გამო).

არმყოფი მუშის მოვალეობათა შესრულებისათვის დანამატის კონკრეტული ოდენობა განისაზღვრება შესასრულებელი სამუშაოს ფაქტური მოცულობის გათვალისწინებით იმ გარაუდით, რომ დანამატის საერთო ოდენობა, მიუხედავიდ მუშების რიცხვისა, რომელთა შორისაც იგი ნაწილებია, არ იღება-ტებოდეს არმყოფი მუშის სატარიფო განაკვეთის (სარგოს) 50 პროცენტს (გარდა შემთხვევებისა, როცა სტაციონარული მინისტრთა საბჭოს გადაწვევებილებებით გათვალისწინებულია დანამატების უფრო მაღალი ოდენობა);

ვ) დაუწესონ ბრიგადირებს იმ შემთა რიცხვიდან, რომლებიც გათვალისწინებული არ არიან ძირითადი სამუშაოსავან, დანამატი მოქმედი არის მარტინისა, ბლობით გათვალისწინებული ოდენობით ბრიგადის ხელმძღვანელობისათვის, როცა მის შემთხვენლობაში ხუთ კაცზე მეტია, იმ პირობით, თუ ბრიგადა შეასრულებს დაწესებულ თვიურ ნორმირებულ დავალებებს.

105. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებას შეუძლია ცალკეულ შემთხვევებში შეუნარჩუნოს გაერთიანების კვალიფიციურ მუშებსა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს ახლად მოქმედებულ საწარმოო ერთეულებში ან სამქრობებში მათი გადაყვანისას საშუალო ხელფასი წარმოების პერიოდში, მაგრამ არა უმეტეს 6 თვესა, თუ ახალ სამუშაო დავილზე ხელფასი წინინდელ სამუშაო დავილზე მიღებულ გასამრეცელობზე ნაკლებია.

106. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებას შეუძლია წინა კიბერ-ტალებსა და თვეებში კვეგის შესრულების პროცენტის შესაბამისად (მოქმედი ნორმატივის გათვალისწინებით) გადანგარიშებული ხელობის ფონზე მოღწეული კვონომით გამოიყენოს ხელფასია და პრემიების შესაცემად იმავე წლის მომდევნო კვარტალებსა და თვეებში.

ხელფასის ფონზის გადახარჯვა უნდა ახახლოებული მომდევნო თვეებში, ხელფასის ფონზის გადახარჯვის შეუსებელი ნაწილი შეიძლება ირიცხებოდეს გაერთიანებაშე საბაზორში წლის მიზანებით წლის არა უკვეისეს 1 ივლისია, გაერთიანების ხელმძღვანელი მუშაკებისათვის დარიცხული პრემიები მოლიანია და გაერთიანებაში ხელფასის ფონზის შედარებითი გადახარჯვისას შემცირდება დაშვებული გადახარჯვის თანხით, მაგრამ არა უმეტეს დარიცხული პრემიების 50 პროცენტია, გადახარჯის ახახლოებული მდგრადი. თუ გაერთიანება 6 თვემდე პერიოდში ანაზღაურებს ხელფასის ფონზის დაშვებულ გადახარჯვას, აღნიშნულ მუშაკებს მიეცემათ პრემიის იმ ნაწილს 50 პროცენტი, რომელიც არ მიუღიათ წინა პერიოდებში ხელფასის ფონზის გადახარჯვისთან თაკავშირებით.

ასეთივე წესით მიეცემათ პრემიები ხელფასის ფონზის გადახარჯისას საწარმოო ერთეულებისა და მათი სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელ მუშაკებს. ამასთან ხელფასის ფონზის გადახარჯვა აღირიცხება მხოლოდ შესაბამისი საწარმოო ერთეულის (ქვედანაყოფის) მიხედვით.

თუ მოლიანად გაერთიანებას ხელფასის ფონზი გადახარჯული არა აქვს, მას შეუძლია ჩამოსწეროს ცალკეულ საწარმოო ერთეულებში განვლილ პერიოდში აუნაზღაურებელი ხელფასის ფონზის გადახარჯვა.

თუ მოლიანად გაერთიანებას ხელფასის ფონზის ეონომია აქნს, მას უფლება ეძლევა ნება დართოს სრული მოცულობით მიეცეთ პრემიები იმ საწარმოო ერთეულების ხელმძღვანელ მუშაკებსაც, რომლებმაც გააუმჯობესეს თავიათი მუშაობა, მაგრამ არ აუნაზღაურებებიათ წარსულ პერიოდში დაშვებული ხელფასის ფონზის გადახარჯვა.

საწარმოო ერთეულის ცალკეული სტრუქტურული ქადანაყოფების მიერ დაშვებული ხელფასის ფონზის აუნაზღაურებელი გადახარჯის ჩამოსწერის და მოლიანად საწარმოო ერთეულში ხელფასის ფონზის ეკონომიის არსებობისას ხელმძღვანელ მუშაკთათვის პრემიების მიეცემის წესს განსაზღვრავს გაერთიანების გენერალური დირექტორი.



107. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების ხელფასის საერთაშორისო უნივერსიტეტის  
ნდის, მმართველობის აპარატის შენახვის სივნებათ ფარვლებში და გაერთია-  
ნების წესდებით კავკალიქტინებული საწარმოო ერთეულების ნუსხის შესაბა-  
მისად შეიძულებებს გაერთიანების სტრუქტურისა და შტატებს ტიპობრივი  
სტრუქტურებისა და შტატების და ინჟინერ-ტექნიკურ მუშავთა და მოსამსა-  
ხურეთა რიცხოვნობის ნორმატივების მიხედვით. გაერთიანების სტრუქტურისა  
და შტატებს დამტკიცებს გაერთიანების გენერალური დირექტორი.

გაერთიანების გენერალური დირექტორი მოქმედი კანონმდებლობის სა-  
ფუძველზე დაწესებს და შეცვლის ინჟინერ-ტექნიკურ მუშავთა და მოსამსახუ-  
რეთა თანამდებობრივ სარგოებს თანამდებობრივი სარგოების სქემის შესაბა-  
მისად და თანამდებობრივი სარგოების სქემის საშუალო სარგოების მიხედვით  
გამოანგარიშებული ხელფასის ფონდის ფარგლებში.

საწარმოო ერთეულის დირექტორი დაწესებს და შეცვლის ინჟინერ-ტექ-  
ნიკურ მუშავთა და მოსამსახურეთა თანამდებობრივ სარგოებს თანამდებობრი-  
ვი სარგოების სქემის შესაბამისად და გაერთიანების დირექტორის მიერ დამ-  
ტკიცებული საწარმოო ერთეულის საშტატო განრიგით გათვალისწინებული  
თანამდებობრივი სარგოების მიხედვით გამოანგარიშებული მისი საშუალო  
ხელფასის ფონდის ფარგლებში.

გაერთიანების გენერალური დირექტორი დამტკიცებს ატოსატრანსპორტო  
საწარმოო გაერთიანების მმართველობის აპარატის შენახვის ხარჯთაღრი-  
ცხეს ამ მიზნით საჭართველოს სსრ საერთომობილო ტრანსპორტის სამინის-  
ტროს მიერ დაწესებულ სივნებათა ფარგლებში.

გაერთიანების გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული მმარ-  
თველობის აპარატის შტატები, სარგოები და მისი შენახვის ხარჯთაღრიცხვა  
საფინანსო ორგანოებში რეგისტრაციას არ საჭიროებს.

108. გაერთიანების გენერალურ დირექტორს შეუძლია ნება დართოს გა-  
ერთიანების მუშავები მივლინებულ იქნენ საწარმოო ერთეულებში. გაერთია-  
ნებისადმი დაქვემდებარებულ დამოუკიდებელ საწარმოებსა და ორგანიზაცი-  
ებში, იგრეთუ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სხვა საწარმოებსა და  
ორგანიზაციებში.

109. ატოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების შეუძლია განსაკუთრე-  
ბულ შემოხვევებში მისცეს ცალკეულ მუშავებს გეგმისგარეშე აგანსი ხელფა-  
სის ანგარიშში არა უმეტეს ერთი თვის გასამრგელოს ოდენობით.

110. ატოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებას უფლება აქვს გაგზაუ-  
ნოს მოწინავე მუშები და მოსამსახურები მათი სურვილისამებრ სასწავლებ-  
ლად უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში და აძლიოს მათ მოქმედი  
კანონმდებლობის შესაბამისად გადიდებული სტიპენდიები იმ პირობით, თუ  
ეს მუშავები იყიდებენ გალდებულებას სასწავლებლის დამთავრების შემდეგ  
სამუშაოდ დაუბრუნდნენ გაერთიანებას, რომელმაც ისინი გაგზავნა სასწავლე-  
ბლად. უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში სასწავლებლად გასაგზავნ  
პირთა კანდიდატურები, რომლებსაც უნდა დაუწესდეთ გადადებული სტიპენ-

დიები, დასახელებულ იქნებიან გაერთიანების საზოგადოებრივ ორგანიზაციების ბათან ერთად.

111. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების შეუძლია მისცეს მუშაკების მათი თხოვნით ხანძოკლე შეცემულება ხელფასის შეუზრუნველყოფით აღასური მდგომარეობისა და სხვა საპატიო მიზეზების გამო.

112. 101-ე პუნქტის „ა“, „ვ“ და „ლ“ ქვეპუნქტებში, 104-ე პუნქტის „ბ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებში, 109-ე და 111-ე პუნქტებში აღნაშნულ ღონისძიებათა განხორციელება საწარმოო ერთეულს შეუძლია იმ წესით, რომელსაც განსაზღვრავს გაერთიანების გენერალური დირექტორი შესაბამის პროფესიულ ორგანოსთან შეთანხმებით.

### უფლება-მოვალეობანი ფინანსების, კრედიტის, აღრიცხვისა და ანგარიშგების დარგში

113. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება მოაწყობს და განახორციელებს მუშაობას საფინანსო დაგეგმვისათვის, შემუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს საფინანსო გეგმის დაგელებათა შესრულებისათვის, სამეურნეო ანგარიშის, საგეგმო-საფინანსო ღისციპლინის განმტკიცებისათვის, რენტაბელობის მიაღწიებისათვის, უზრუნველყოფს საბრუნვავი სასსრების დაცვას, მიზნობრივ და ეფექტიან გამოყენების, და მათი ბრუნვადობის დაჩქარებას, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მიერ დაწესებული ბიუჯეტის გადასახდელთა წლიური და კვარტალური დავალებების შესრულებას, ბანკებთან, ტეიროგამგზავნებთან (ტეირომიმღებებთან), მიწოდებლებთან, მოიჯარებთან, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროსთან, მუშებთან და მოსამსახურებთან დროულად ანგარიშწორებას ხელფასისა და საფინანსო გეგმისა და ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულებების ხაზით.

საფინანსო გეგმის შემუშავებისას გაერთიანება უზრუნველყოფს შინაგანი რეზერვების მაქსიმალურ მობილიზაციის, წარმოებისა და მიმოქცევის ხარჯების შემცირებას და ამას საფუძველზე დაგროვების გადიდებას.

114. ბიუჯეტთან, ტეირომიმღებებთან (ტეიროგამგზავნებთან), მიწოდებლებთან და მყიდველებთან, მოიჯარებთან, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროსთან ანგარიშწორება, საკრედიტო ურთიერთობანი, აგრეთვე ბანკების მხრივ კონტროლი ხელფასის ფონდის ხარჯებისა და სამეურნეო-საფინანსო საქმიანობისადმი ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებაში ხორციელდება მთლიანად, მისი საწარმოო ერთეულების აღვილსამყოფებს მიუხედავად.

საწარმოო ერთეული, რომელსაც აქვთ მიმდინარე ანგარიში (საანგარიშწორებო ქვეანგარიში) სსრ კავშირის სახანკის დაწესებულებებში და კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების ანგარიში სსრ კავშირის მშენბანკის დაწესებულებებში, ტეიროგამგზავნებს (ტეირომიმღებებს), მიწოდებლებს, მყიდველებსა და საიჯარო ორგანიზაციებს ანგარიშის გაუსწორებს სსრ კავშირის სახანკისა და სსრ კავშირის მშენბანკის მიერ დადგენილი წესით.

გაერთიანებებში, რომლებსაც ექვემდებარებიან სოციალისტური საქართველოს  
წიფი საწარმოს დებულებით გათვალისწინებული უფლებებით აღჭურვილობა  
დამოუკიდებელი საწარმოები და ორგანიზაციები, მოვალეობის გადასახდელთა ხა-  
ზით ბიუგეტთან ანგარიშების ახორციელებენ თვით საწარმოები და ორ-  
განიზაციები, ან შეიძლება ცენტრალიზებულად განახორციელოს გაერთიანებაშ  
საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროსთან შეთანხმე-  
ბით, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

115. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება ბანკების დაწესებულე-  
ბებში გახსნის დადგენილი წესით საავტომობილი ტრანსპორტის და სხვა ანგარიშებს და  
შესაბულებს მათი მიხედვით შესაბამის თემატიკის.

116. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებას შეუძლია ისარგებლოს  
ბანკის კრედიტით და პასუხისმგებელია მისი მიზნობრივი გამოყენებისა და  
დროშე დაბრუნებისათვის.

გაერთიანებისათვის აუცილებელი კრედიტების მისაღებად განაცხადებს  
იგი დადგენილი წესით წარუდგენს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანს-  
პორტის სამინისტროს.

117. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება განსაზღვრავს საბრუ-  
ნავი სახსრების ნორმატივებს ელემენტების მიხედვით საერთო ნორმატივის  
ფარგლებში, იგრეთვე დაუწესებს საკუთარი საბრუნავი სახსრების ნორმატი-  
ვებს საწარმოო ერთეულებს.

118. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება არა უმეტეს სამი წლის  
განმავლობაში შეავსებს მოვალეობის გეგმის შეუსრულებლობის ან მოვალეობის  
დაფინანსებული ზეგავმითი ხარჯების განხორციელების შედეგად წარმოქმნილ  
საკუთარი საბრუნავი სახსრების ნაკლებობის საქართველოს სსრ საავტომობი-  
ლო ტრანსპორტის სამინისტროს მიერ დაწესებულ ორგანიზაციულ-ტექნიკურ  
ღონისძიებათა განხორციელებით დამატებითი მოვალეობის დავალებათა  
შესრულების ხარჯზე, იგრეთვე დადგენილი წესით ამ მიზნისათვის განკუთვნი-  
ლი ზეგავმითი მოვალეობის და ეკონომიკური სტიმულირების ფონდებში მოვალეობის  
ანარიცხების 30 პროცენტამდე ღონისძიებით შემცირების ხარჯზე.

ცალკეულ საწარმოო ერთეულებში მოვალეობის გეგმის შეუსრულებლობის  
ან მოვალეობის დაფინანსებული ზეგავმითი ხარჯების განხორციელების შედე-  
გად წარმოქმნილი საკუთარი საბრუნავი სახსრების ნაკლებობის შეავსების წესს  
(თუ შენარჩუნებულია მთლიანად გაერთიანებისათვის დაწესებული საბრუნა-  
ვი სახსრების საერთო ნორმატივი) განსაზღვრავს გაერთიანება იმის გათვალის-  
წინებით, რომ ასეთი ნაკლებობა უნდა შეიცვლოს უწინარეს ყოვლისა იმ საწარ-  
მოო ერთეულის ხარჯზე, რომელშიც იგი წარმოიშვა, მათ შორის საწარმოო  
ერთეულისათვის გამოყოფილი ეკონომიკური სტიმულირების ფონდების სახ-  
სრების 30 პროცენტამდე ფარგლებში შემცირების ხარჯზე.

119. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება მოქმედი კანონმდებ-  
ლობის შესაბამისად შეიმუშავებს და წარადგენს დასმტკიცებლად დადგენილი  
წესით გადაზიდვის (კომსახურების, სამუშაოების) ტარიფების, ფასების პრექ-  
ტებს და პასუხს ავებს ფასების სახელმწიფო დაცვისათვის.

120. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება მოქმედი კანონმდებლობით დაწესებულ ფარგლებში შემცირებებს სახარჯთაღრიცხვო სკოდებისა გაანგარიშებებს და ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერგვის, წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, მოწყობილობის მოდერნიზაციის, წარმოების ტექნოლოგიის გაუმჯობესების, საწარმოო პროცესთა რაციონალიზაციისა და ინტენსიფიკაციის ღონისძიებათა განხორციელებისათვის დანახარჯების ანაზღაურების გაანგარიშებას.

აღნიშნულ გაანგარიშებებს დამტკიცებს გაერთიანების გენერალური დოკუმეტორი.

121. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებას უფლება აქვს ჩამოსწეროს ბალანსიდან მორალურად მოძეველებული, გაცვეთილი და შემდგომი გამოყენებისათვის უვარგისი მოწყობილობა, ინვენტარი და ინსტრუმენტები, აგრეთვე საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს მიერ დაგვენილი წესით — სატრანსპორტო საშუალებაზი, როცა მა ქონებას აღდგენა შეუძლებელია ან ეკონომიკურად მიზანშეუწონელია და იგი არ შეიძლება რეალიზებულ იქნეს.

გაერთიანებას უფლება აქვს აგრეთვე ჩამოსწეროს ბალანსიდან ახალი ობიექტების შენებლობისთან ან რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით დანგრეული შენობა-ნაგებობაზი, აგრეთვე ძეველი შენობა-ნაგებობაზი.

122. ავტოსატრანსპორტო საწარმოო, გაერთიანებას უფლება აქვს ჩამოსწეროს ზარალში და შეატყობინოს ამის შესახებ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს:

— დებიტორული დავალიანება, რომლის სასაჩქელო ხანდაზულობის ვადა ვასულია;

— იძულებითი უარი, რომლის სააღსრულებო დოკუმენტები დაბრუნებულია სასამართლოს მიერ დამტკიცებული აქტით მის შესახებ, რომ მოპასუხევალი უვალებელია და არ შეიძლება მიეცეულ იქნეს გადახდევინება მის ქონებაზე;

— სხვა ვალი, რომლის მიღება გაერთიანებამ უმიმდოდ ცნო.

123. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებას უფლება აქვს ჩამოსწეროს თავისი ბალანსიდან ყოველ ცალკეულ შემთხვევაში 100 მანეთმდე ფარვლებში და შეატყობინოს ამის შესახებ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს:

— ფასეულობათა დანაკლისი ზარალის ნორმების ვადამეტებით, აგრეთვე საქონლის, მასალებასა და პროდუქციის ვაფუჭებით ვამოწვეული დანაკარგების სხეთ შემთხვევებში, როცა კოსტეტული დამსაშავები დაუღენელია;

— ვალი სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა დანაკლისის ვამო, რომლის ვადახდევინებაზე სასამართლომ უარი განაცხადა სარჩელის დაუსაბუთებლობასთან დაევაშირებით.

124. ამ დებულების 122-ე და 123-ე პუნქტებით გათვალისწინებული ზარალის ჩამოწერა ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების ბალანსიდან შეიძლება მხოლოდ ზარალის მისეზების გულდასმით, სასოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობით ჩატარებული შემთხვების, ამ საქმეში დამნაშავე

პირთა გამოელენის და ზარალთან დაკავშირებით დაქარგული თანხების შემდეგ თვის გადასხდევინებლად საჭირო ზომების მიღების შემდეგ.

125. აეტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება შეიმუშავებს და დაამტკიცებს საბინაო-კომუნალური მეურნეობის შემოსავლის გეგმებსა და გასავლის ხარჯთაღრიცხვებს, პროფესიული მომსახურებული მომსახურებული მომსახურებული სარგებლობისათვის გადაცემული შენობების, საღვმების, ნაგებობების, ბაღების, პარკების, პიონერთა ბანაკების სამეურნეო მოვლა-შენახვის ხარჯთაღრიცხვებს.

126. აეტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება აწარმოებს საბუღალტრო, აგრეთვე ოპერატორ და სტატისტიკურ აღრიცხვას, დადგენილი წესით შეადგენს და წარუდგენს შესაბამის ორგანოებს დამტკიცებული ფორმების ანგარიშებას გაერთიანების საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის კველა სახეობის მიხედვით და დაწესებულ ვადებში, და პასუხს აგებს მისი უტყუარობისათვის; განახორციელებს სააღრიცხვო-გამოსათვლელ სამუშაოთა ცენტრალიზაციასა და მექანიზაციას, დანერგებს აღრიცხვის პროგრესულ მეთოდებს.

